

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქეთევან ჩხიკვაძე

ტყიბულ-შაორის ქვანახშირის თბოუნარიანობის გამოკვლევა

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

შიფრი 0405

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივლისი, 2016

საავტორო უფლება © 2016 ქეთევან ჩხიკვაძე

თბილისი

2016

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ქეთევან ჩხიკვაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ტყიბულ-შაორის ქვანახშირის თბოუნარიანობის გამოკვლევა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: _____ ომარ კიღურაძე

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2016

ავტორი: ქეთევან ჩხიკვაძე
დასახელება : ტყიბულ-შაორის ქვანახშირის თბოუნარიანობის
გამოკვლევა
ფაკულტეტი : ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის
აკადემიური ხარისხი: დოქტორი
სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის
შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან
სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი
ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო
უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა
იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ
მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია
სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს
პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ადგილობრივი ბუნებრივი თბური ენერგეტიკული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით საქართველოს შესაძლებლობები ქვანახშირითაა შემოსაზღვრული. ქვანახშირის მარაგები პრაქტიკულად ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოთი განისაზღვრება. ამდენად მისი ეფექტური გამოყენება საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მთავრობის გადაწყვეტილებით დაგეგმილია ტყიბულში 150 მეგავატიანი თბოელექტროცენტრალის აშენება, რომელიც ადგილობრივ ქვანახშირზე წვის თანამედროვე ტექნოლოგიების („მდულარე შრეში“ წვა) გამოყენებით იმუშავებს. მსოფლიო პროგნოზით XXI საუკუნის ბოლოსთვის ენერჯის არაგანახლებადი წყაროების – ნავთობის და ბუნებრივი გაზის მსოფლიო მარაგები პრაქტიკულად მთლიანად ამოიწურება. ამ დეფიციტის შევსება შესაძლებელი იქნება ქვანახშირის დარჩენილი წიაღისეული მარაგების და განახლებადი ენერჯის წყაროების ხარჯზე.

საბადოს სხვადასხვა დონის ნიშნულის სათბობში წვადი ელემენტების და შიგა და გარე ბალასტების პროცენტული შემცველობები ერთმანეთისგან განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია სხვადასხვა ნიშნულის სათბობის თბოუნარიანობა. შესაბამისად ცალკეული ნიშნულების ნიმუშების თბოუნარიანობის განსაზღვრა აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. სხვადასხვა დონის ნიშნულების განსხვავებული თვისებების მქონე ქვანახშირი გამადიდრებელ ფაბრიკაში ერთმანეთში ირევა და ისე მიეწოდება მომხმარებელს.

ნაშრომში დასაბუთებულია ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს სხვადასხვა ნიშნულის ქვანახშირის თბოუნარიანობის გამოკვლევის, როგორც სუფთა გამოყენებითი, ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით აქტუალობა.

განალიზებულია კალორიმეტრული სისტემაში მიმდინარე თბური პროცესების მათემატიკური მოდელირების ამოცანა გარკვეული გამარტივებების დაშვებით, რომელიც ეხება ამ სისტემის სახესა და თვისებებს. სისტემის სასაზღვრო და საწყისი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ტემპერატურული ველის დროში ცვლილების ანალიზური გამოსახულების მიღება. განხილულია 6 მახასიათებელი მოდელი.

1922 წელს ლიონში საერთაშორისო ქიმიურ კონფერენციაზე ორგანული ნაერთების (სათბობის) თბოუნარიანობის გასაზომად (კალორიმეტრული სისტემის თბური ეკვივალენტის დასადგენად) რეკომენდირებული იქნა სანიმუშო ნივთიერება - ბენზოინის მჟავა, როგორც პირველი გვარის სანიმუშო ნივთიერება.

სანიმუშო ნივთიერებას წაეყენება მაღალი მოთხოვნები მისი სისუფთავის მიმართ. მაგალითად, უმაღლესი თანრიგის სანიმუშო ნივთიერება - ბენზოინის მჟავა უნდა შეიცავდეს 99,992% ძირითად ნივთიერებას. ასეთი სისუფთავის ნივთიერების მიღება დიდ

სიმწვანეებთან, და შესაბამისად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შედარებით დაბალი სიზუსტის კვლევების ჩასატარებლად, რომელსაც კალორიმეტრული კვლევებიც მიეკუთვნება, შესაძლებელია უფრო დაბალი სისუფთავის ბენზოინის მჟავას გამოყენება. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება ამ ნივთიერების თბოუნარიანობის გამოკვლევა და სანიმუშო ნივთიერებად ატესტაცია.

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სამუშაო შედარებით დაბალი სიზუსტის სანიმუშო ნივთიერების (სტუ-1) შესაქმნელად. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა რუმინული წარმომავლობის ("STANCHEM") ბენზოინის მჟავა (C_6H_5COOH) რომელიც ხარისხის სერთიფიკატის მიხედვით შეიცავს 99,24% ძირითად ნივთიერებას, 0,03% ტენს, 10 მლგ/კგ-ზე ნაკლებ მძიმე ლითონებს, 0,2%-ზე ნაკლებ ფტალურ ანჰიდრიდს, 0,03% სულფოზოლს. მისი დნობის ტემპერატურაა $121,7^{\circ}C$. სანიმუშო ნივთიერების ატესტაციისას კალორიმეტრის თბური ექვივალენტი განსაზღვრულ იქნა მაღალი სისუფთავის (99,992%) ბენზოინის მჟავას გამოყენებით, რომლის თბოუნარიანობა სერთიფიკატის მიხედვით ტოლია 26466 ჯ/გ-ს.

სტუ-1-ის ატესტაციისათვის პრეციზიულ კალორიმეტრზე ჩატარდა 12 ნიმუშის (10 მმ სიმაღლის და 10 მმ დიამეტრის ცილინდრული) თბოუნარიანობის გამოკვლევა მაღალი წნევის ჟანგბადის გარემოში. ექსპერიმენტის შედეგები (12 ცდა) დაყოფილია ორ ჯგუფად გაზომვების დროითი ნიშნის მიხედვით.

დაკვირვებათა მწკრივში უხეში შეცდომების არსებობის შესამოწმებლად და არსებობის შემთხვევაში მათი არგუმენტირებული გამორიცხვის მიზნით ცაკეული გაზომვებისათვის განისაზღვრა სტიუდენტის კოეფიციენტები და საბოლოოდ გაზომვების საშუალო მნიშვნელობისათვის ზღვრული ცდომილება.

შექმნილია მყარი და თხევადი სათბობის თბოუნარიანობის საზომი პრეციზიული ექსპერიმენტული დანადგარი, რომელიც მოიცავს: თერმოსტატულ გარემოში მოთავსებულ კალორიმეტრულ ყუმბარას; მაღალი წნევის ჟანგბადით შევსების სისტემას; პრეციზიულ ელექტრონულ სასწორს, პრეციზიულ ელექტრონულ საშრობს, სათბობის ბრიკეტის მოსამზადებელ აგრეგატს. სისტემა განკუთვნილია მაღალი სიზუსტით სხვადასხვა სათბობის თბოუნარიანობის გასაზომად.

განალიზებულია თბოუნარიანობის საზომი სისტემის თეორიული ცდომილებები და ცალკეული ნიმუშების მრავალჯერადი გაზომვების გზით მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების სტატისტიკური მეთოდებით დამუშავების შედეგად მიღებული ცდომილებები.

შექმნილია სათბობის თბოუნარიანობის გასაზომად მეორე თანრიგის სანიმუშო ნივთიერება-ბენზოინის მჟავა (თბოუნარიანობით $26358,50 \pm 1,4\%$).

ექსპერიმენტულად დადგენილია ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს სხვადასხვა ნიშნულების ნიმუშების თბოუნარიანობის მნიშვნელობები:

უბანი 1, ფენი 4 - $18547 \pm 15,8$ კჯ/კგ (0.09%);

უბანი 2, ფენი 4 - 21104 ± 35.87 კჯ/კგ (0.17%);

უბანი 2, ფენი 6 - 22722 ± 27.4 კჯ/კგ (0.12%);

უბანი 4, ფენი 4 - 20521 ± 31.6 კჯ/კგ (0.15%);

ღია წესით მოპოვებული ნიმუში- 19060 ± 236.2 კჯ/კგ (1.2%).

შექმნილი კალორიმეტრული სისტემა გამოყენებული იქნება ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, როგორც სასწავლო-კვლევითი ბაზა.

ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავისა და დასკვნებისაგან. ციტირებული ლიტერატურის სია შეიცავს ქართული და უცხოური წყაროების 46 დასახელებას. ექსპერიმენტული მონაცემები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდებით.

ნაშრომის შედეგები აპრობირებულია 2 საერთაშორისო კონფერენციაზე. მოხსენებული იყო სტუ-ს სტუდენტურ კონფერენციებზე. კვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო სტატიაში, მათ შორის ორი თანაავტორის გარეშე.

resume

Georgian local natural energy resource use in terms of opportunities is limited with coal. Georgian coal reserves are limited by Tkibuli-Shaori coal mine. Consequently, it's effective use is a significant factor for Georgia's economic development. According to the Georgian government's decision, it is planned to construct 150-megawatt HPP in Tkibuli, which will use modern combustion technology ("boiling layer" burning) for a local coal. Based on world forecast, by the end of XXI century, the world resources of non-recoverable energy – oil and natural gas will be completely exhausted. This deficit will be compensated by remaining coal reserves of fossil and renewable energy reserves.

There is a difference between different levels of coal mine elements and internal and external ballast percentage concentration. Deriving from this fact, the calorific value of coal from different layers is different. Consequently, defining individual sample calorific value presents an active topic.

In the assay, the actuality of calorific value of Tkbul-Shaori plant is presented in terms of its usage as well as from a scientific view.

The analysis is made in a calorimetric system for an ongoing thermal process mathematical modeling case with specific easier assumptions that is linked with the systems' face and nature. While considering the terms of the system it is possible to evaluate temperature affect in terms of analysis schedule. Six characteristic models are discussed.

In 1922, in Lyon, during International Conference on Chemical organic compounds (fuels) for measuring the calorific value (calorimetry system in order to determine the thermal equivalent) it was recommended sample substance - benzoic acid, as the first sample substance.

The sample substance needs to comply with the high requirements of cleanliness. For example, a higher-level model ingredient - benzoic acid should contain 99.992% of the main substance. The achievement of such purity substance is associated with huge difficulties and consequently, with huge expenses. For performing relatively low accuracy research, to which calorimetric research refers as well, it is possible to use low purity benzoic acid. However, it is possible only after the research of calorific value and sample attestation.

We have performed work to create low accuracy sample substance (STU-1). For this purpose we have used Romanian origin ("STANCHEM") benzoic acid (C_6H_5COOH) which according to quality certificate consists of 99.24% main substance, 0.03% moisture, 10 milligram / kg less heavy metals, less than 0.2% anhydride, 0.03% sulphates. The melting temperature is 121,7 °C. During attestation of sample substance, the calorific value of calorimeter was defined through high purity (99,992%) benzoic acid, which calorific value per certificate is equal to 26466 J / g.

For attestation of STU-1, on precision calorimeter there were conducted 12 sample (10 mm height and 10 mm diameter cylindrical) calorific value examination in the high pressure oxygen environment. The results of the

experiment (12 attempts) is divided into two groups according to the measurements of the mark time.

Observations to track the gross errors in the test, and in case of their arguments in order to exclude individual measurements determined Student ratios and measuring the average value with the marginal error.

For measurement of solid and liquid fuel heating value precision experimental equipment is created, which includes: calorimetric bomb placed in thermostatic environment; high pressure oxygen filling system; precision electronic scales; precision electronic dryer, fuel briquettes preparatory assembly. The system is designed for high-precision measurement of a variety of fuel heating value.

Theoretical analysis of the heating value measurement system errors and certain patterns of multiple measurements of the test data statistical processing methods resulting from errors.

Fuel heating value is designed to measure the second-level model substance-benzoin acid (calorific $26358,50 \pm 1,4\%$).

Experimentally the calorific value of Tkibul-Shaori coal from different lawyers is determined:

District 1, layer 4 - $18547 \pm 15,8$ kJ/kg (0,09%);

District 2, layer 4 - $21104 \pm 1,47$ kJ/kg (0,17%);

District 2, layer 6 - $22722 \pm 27,4$ kJ/kg (0,12%);

District 4, a layer of 4 - $20521 \pm 31,6$ kJ/kg (0,15%);

In the open under the sample - $19060 \pm 236,2$ kJ/kg (1,2%).

The designed calorimetric system will be used for the students of Energy faculty, as educational research base.

The work performed is composed of 4 chapters and conclusion. The quoted literature contains Georgian and foreign sources of 46 description. The experimental results are processed through statistical methods.

The work results are approved on two international conferences. Was discussed on GTU students conference. The major results of the research are published on six scientific articles, including two without the co-writer.

შინაარსი

შესავალი	16
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	23
1.1. თბოუნარიანობა - სათბობის მთავარი თბოტექნიკური მახასიათებელი.....	23
1.2. კალორიმეტრიის ზოგადი დებულებები.....	24
1.3. კალორიმეტრული ექსპერიმენტი.....	30
1.4. კალორიმეტრულ სისტემაში სითბოსცვლის პროცესები	34
1.4.1. თბოგამტარობის განტოლება.....	36
1.4.2. კონვექციური თბოცვლა	38
1.4.3. თბოცვლა გამოსხივებით.....	40
თავი 2. კალორიმეტრული სისტემების მოდელირება.....	43
2.1. მოდელირების სახეები	43
2.2. ტემპერატურული შესწორების ზოგადი ფორმულა.....	46
2.3. ტემპერატურული შესწორებები თბოცვლის პროცესზე.....	48
2.4. ტემპერატურული შესწორების რენიუ-ფაუნდლერის ფორმულა	50
2.5. თბოცვლაზე შესწორებების განსაზღვრის გამარტივებული მეთოდი.....	51
თავი 3. კალორიმეტრიაში გამოყენებული სანიმუშო ნივთიერებები.....	55
3.1. ბენზოინის მჟავა.....	56
3.2. იანტარის მჟავა.....	58
კვლევის ამოცანები	59
თავი 4. ექსპერიმენტული ნაწილი.....	60
4.1. ექსპერიმენტული დანადგარი.....	60
4.2. კალორიმეტრის კალიბრება	64
4.3. სათბობის ტენიანობის განსაზღვრა.....	69
4.4. სათბობის ნაცრიანობის განსაზღვრა.....	72
4.5. ნიმუშის მომზადება	74
4.6. პირველი უბნის მე-4 ფენის ქვანახშირის უმაღლესი თბოუნარიანობის ექსპერიმენტული მონაცემები	77
4.7. მე-2 უბნის მე-4 ფენის ქვანახშირის უმაღლესი თბოუნარიანობის ექსპერიმენტული მონაცემები.	82

4.8.	მე-2 უბნის მე-6 ფენის ქვანახშირის უმაღლესი თბოუნარიანობის ექსპერიმენტული მონაცემები.	87
4.9.	მე-4 უბნის მე-4 ფენის ქვანახშირის უმაღლესი თბოუნარიანობის ექსპერიმენტული მონაცემები	92
4.10.	მე-4 უბნის მე-4 ფენის ქვანახშირის უმაღლესი თბოუნარიანობის ექსპერიმენტული მონაცემები	97
4.11.	ექსპერიმენტის შედეგები	101
4.12.	ვირტუალური ამოცანა - სათბობის თბოუნარიანობის განსაზღვრა.....	105
	ძირითადი დასკვნები.....	108
	გამოყენებული ლიტერატურა	109

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1	საქართველოს ნახშირების სამრეწველო მარაგი და პროგნოზული რესურსები	17
ცხრილი 2	სხვადასხვა ნივთიერებებისა და მასალების უდაბლები თბოუნარიანობა	25
ცხრილი 3	ბენზონის მჟავას ატესტაციის შედეგები პირველი ჯგუფისთვის.....	66
ცხრილი 4	ბენზონის მჟავას ატესტაციის შედეგები მეორე ჯგუფისთვის.....	67
ცხრილი 5	კალორიმეტრული ხელსაწყოთა კალიბრების მონაცემი.	75
ცხრილი 6-10	ექსპერიმენტული მონაცემები (უბანი 1, ფენი 4) - ცდა 1-5.....	77
ცხრილი 11-15	ექსპერიმენტული მონაცემები (უბანი 2, ფენი 4) - ცდა 1-5.....	82
ცხრილი 16-20	ექსპერიმენტული მონაცემები (უბანი 2, ფენი 6) - ცდა 1-5.....	87
ცხრილი 21-25	ექსპერიმენტული მონაცემები (უბანი 4, ფენი 4) - ცდა 1-5.....	92
ცხრილი 26-29	ექსპერიმენტული მონაცემები (ღია წესით მოპოვებული) - ცდა 1-4.....	97
ცხრილი 30	ტყიბულ-შაორის საბადოს მინდელის სახელობის შახტის და ღია წესით მოპოვებული ქვანახშირის უმაღლესი თბოუნარიანობა უბნების მიხედვით	101
ცხრილი 31	ცალკეული გაზომვების დისპერსიის მნიშვნელობა ნიმუშების მიხედვით.....	101
ცხრილი 32	ცალკეული გადახრების სტანდარტული გადახრის მნიშვნელობა ნიმუშების მიხედვით	102
ცხრილი 33	თბოუნარიანობის საშუალო მნიშვნელობის დისპერსია ნიმუშების მიხედვით.....	102
ცხრილი 34	თბოუნარიანობის საშუალო მნიშვნელობის დისპერსია ნიმუშების მიხედვით.....	102
ცხრილი 35	კრიტერიუმ t_{max} -ის მნიშვნელობა ნიმუშების მიხედვით	103

ცხრილი 36	სტიუდენტის კოეფიციენტის (t) მნიშვნელობა $\alpha=0,95$ სარწმუნო ინტერვალისთვის და $k=n-1$ თავისუფლების ხარისხისთვის ნიმუშების მიხედვით	103
ცხრილი 37	თბოუნარიანობის საშუალო არითმეტიკული სიდიდის ზღვრული ცდომილება ნიმუშების მიხედვით	103
ცხრილი 38	საშუალო არითმეტიკული სიდიდის ზღვრული ცდომილება ნიმუშების მიხედვით.....	104

ნახაზების ნუსხა

ნახაზი 1.	ტყიბულ-შაორის საბადოს გავრცელების არეალი.....	18
ნახაზი 2.	ქვანახშირის განაწილება ტყიბულ-შაორის საბადოში სიღრმის მიხედვით	19
ნახაზი 3.	ტყიბულ-შაორის ქვანახშირში წვადი ელემენტების ჯამი (C+H+S) ნიშნულების მიხედვით როტერდამის სავაჭრო პალატის მონაცემებით.....	20
ნახაზი 4.	ტყიბულ-შაორის ქვანახშირში შიდა ბალასტის ჯამი (N+O) ნიშნულების მიხედვით როტერდამის სავაჭრო პალატის მონაცემებით.....	20
ნახაზი 5.	ტყიბულ-შაორის ქვანახშირში გარე ბალასტის ჯამი (A+W) ნიშნულების მიხედვით როტერდამის სავაჭრო პალატის მონაცემებით.....	21
ნახაზი 6.	ტყიბულ-შაორის ქვანახშირში ნაცრის შემადგენლობა ნიშნულების მიხედვით როტერდამის სავაჭრო პალატის მონაცემებით	21
ნახაზი 7.	კალორიმეტრული ცდის ტემპერატურული მრუდები	31
ნახაზი 8.	კალორიმეტრული სისტემის განზოგადებული მოდელი	43
ნახაზი 9.	კალორიმეტრული სისტემების მოდელი	46
ნახაზი 10.	თბოცვლაზე შესწორების გამოთვლა ტრაპეციის მეთოდით	50
ნახაზი 11.	ტემპერატურული მრუდი და გრაფიკული შესწორება თბოცვლაზე	53
ნახაზი 12.	პრეციზიული კალორიმეტრი XRY-1C.....	60
ნახაზი 13.	კალორიმეტრ XRY-1C-ის სქემა.	61
ნახაზი 14.	მაღალი წნევის კონტეინერი	62
ნახაზი 15.	მაღალი წნევის კონტეინერის ჟანგბადით შვსების სისტემა.....	62
ნახაზი 16.	კალორიმეტრული სისტემის ტემპერატურის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი.	63
ნახაზი 17.	სათბობის გამოსაშრობი დანადგარი RADWAG – MA 50.R და ექსიკატორი ნიმუშებით	75

ნახაზი 18. ტყიბულ-შაორის საბადოს ქვანახშირის თბოუნარიანობის ექსპერიმენტული მონაცემები	105
ნახაზი 19. კალორიმეტრული სისტემის მდგომარეობა ნიმუშის დაწვისთანავე.....	106
ნახაზი 20. კალორიმეტრული სისტემის მდგომარეობა პროცესის დასრულებისას.....	107

მადლიერება

მადლობას ვუხდით დისერტაციის ხელმძღვანელს პროფ. ო.კილურაძეს და თბოენერგეტიკის და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტის წევრებს დისერტაციაზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისათვის.

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული ელექტროენერგეტიკის განვითარებასთან, შესაბამისად იგი ქვეყნისთვის პრიორიტეტული დარგია. ელექტროენერჯის დეფიციტის პრევენციისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს საბაზისო ელექტროსადგურები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ ორგანულ სათბობზე (აირადი, თხევადი და მყარი) მომუშავე თბოელექტროსადგურებს. უკანასკნელ წლებში თბოელექტროსადგურებში უმეტესად აირადი და თხევადი სათბობი გამოიყენება. ეს გამოწვეულია ერთის მხრივ ენერგეტიკულ ბალანსში ბუნებრივი გაზისა და თხევადი სათბობის წილის მნიშვნელოვანი ზრდით, ხოლო მეორეს მხრივ მყარი საწვავის, კერძოდ ქვანახშირის, ძველი მეთოდებით წვასთან დაკავშირებული პრობლემებით.

პროგნოზით XXI საუკუნის ბოლოსთვის ენერჯის არაგანახლებადი წყაროების – ნავთობის და ბუნებრივი გაზის მსოფლიო მარაგები პრაქტიკულად მთლიანად ამოიწურება. ამ დეფიციტის შევსება შესაძლებელი იქნება ქვანახშირის დარჩენილი წიაღისეული მარაგების და განახლებადი ენერჯის წყაროების ხარჯზე. ქვანახშირის დარჩენილი წიაღისეულების მარაგები ამ პერიოდისათვის სავარაუდოდ 5 ტრილიონი ტონა პირობითი სათბობის ეკვივალენტური იქნება. მაგრამ, მისი ეფექტური გამოყენებისათვის საჭირო იქნება ნახშირის წვისთვის ახალი ტექნოლოგიების შემუშავება.

დღეისთვის ნახშირის წვის პროცესის გასაუმჯობესებლად დამუშავებულია პროგრესული ტექნოლოგიები. მათ შორის აღსანიშნავია წვრილფრაქციული ნახშირის წვა ეგრეთწოდებულ “მდულარე ფენაში”. ამ მეთოდის თანახმად, ქვანახშირის ნაწილაკები წვისთვის საჭირო წნევის ჰაერში შეწონილ მდგომარეობაში იმყოფება. ამით გაუმჯობესებულია ქვანახშირის ნაწილაკების ჰაერის ჟანგბადთან შეხების პირობები, რის

შედეგად მისი წვის ხარისხი 98-99%-ს აღწევს. აღნიშნული მეთოდი პასუხობს თანამედროვე ეკოლოგიურ მოთხოვნებსაც, რაც გულისხმობს წვის ისეთი პირობების შექმნას, რომლის დროსაც ხდება საწვავის მაქსიმალური წვა, და შესაბამისად, მავნე ნივთიერებების გამოყოფის მინიმალიზება. “მდულარე შრეში” სათბობის წვის ტექნოლოგია მგრძნობიარეა სათბობის ფრაქციული შედგენილობის, წვისთვის საჭირო პირველადი ჰაერის წნევის, სათბობის შედგენილობის და თბოუნარიანობის მიმართ. შესაბამისად, მისი სრულყოფილი გამოყენება მოითხოვს საწვავის თვისებების ყოველმხრივ შესწავლას.

ადგილობრივი ბუნებრივი თბური ენერგეტიკული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით საქართველოს შესაძლებლობები პრაქტიკულად ქვანახშირითაა შემოსაზღვრული. ცხრილ 1-ში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს ნახშირების სამრეწველო მარაგებისა და პროგნოზული რესურსების შესახებ.


ცხრილი 1
საქართველოს ნახშირების სამრეწველო მარაგი და პროგნოზული რესურსები

№	საბადოს დასახელება	სამრეწველო მარაგები, მლნ ტონა	პროგნოზული რესურსები, მლნ ტონა	მთლიანი მარაგი, მლნ ტონა
1	ტყიბულ-შაორის	338,5	373,0	711,5
2	ტყვარჩელის	20,3	12,0	32,3
3	ახალციხის	75,7	-	75,7
4	გელათის	5,0	-	5,0

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, ქვანახშირის მარაგები პრაქტიკულად ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოთი განისაზღვრება. ამდენად მისი ეფექტური გამოყენება საქართველოს ეკონომიკისთვის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

პირველ სურათზე მოცემულია ტყიბულ-შაორის საბადოს გავრცელების არეალი. ათვისებულია საბადოს სამხრეთ ნაწილი, რომლის


რესურსი შეადგენს 338,5 მილიონ ტონას, ხოლო ჯერ კიდევ აუთვისებელი, ჩრდილოეთ ნაწილის რესურსი შეადგენს 373 მილიონ ტონას. გეოგრაფიულად ტყიბულ-შაორის საბადო ვრცელდება რაჭისკენ, შაორის წყალსაცავის ქვეშ.



სურათი 1. ტყიბულ-შაორის საბადოს გავრცელების არეალი

მეორე სურათზე ნაჩვენებია ქვანახშირის განაწილება ტყიბულ-შაორის საბადოში სიღრმის მიხედვით. ქვანახშირი განთავსებულია ექვსი ნიშნულის დონეზე - I, 7/4, II, III, IV, და V ნიშნულები. სათბობში ნიშნულების მიხედვით განსხვავებულია წვადი ელემენტების და შიგა და გარე ბალასტების პროცენტული შემცველობები. წვადი ელემენტების ჯამი მოქცეულია ინტერვალში 40-62%; შიდა ბალასტი - 0,6-1%, და გარე ბალასტი - 43-50%. სათბობის შედგენილობების ფართო ვარიაციის გამო ქვანახშირის

თბოუნარიანობა (ერთეული რაოდენობის სათბობის სრული დაწვით გამოყოფილი სითბოს რაოდენობა) სხვადასხვა ნიშნულის დონეების




სურათი 2. ქვანახშირის განაწილება ტყიბულ-შაორის საბადოში სიღრმის მიხედვით


მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. გრანულომეტრული თვალსაზრისით ტყიბულის ქვანახშირში დიდი რაოდენობითაა 5 მმ-ზე ნაკლები ფრაქციის წვრილმანი, რის გამოც შეუძლებელია მის დასაწვავად ფენური ტიპის საცეცხლის გამოყენება, ხოლო „მდულარე შრეში“ მისი წვისათვის საჭირო მოთხოვნების შესრულება გაძნელებულია.

სხვადასხვა ნიშნულის დონეების, განსხვავებული თვისებების მქონე ქვანახშირი გამადიდრებელ ფაბრიკაში ერთმანეთში ირევა და ისე მიეწოდება მომხმარებელს.


სურათებზე 3-6 მოცემულია ტყიბულ-შაორის საბადოს ქვანახშირის შედგენილობა ნიშნულების მიხედვით როტერდამის სავაჭრო პალატის მონაცემებით. ამ გრაფიკებიდან ჩანს, თუ რა მნიშვნელოვნად განსხვავებული შედგენილობა, და აქედან გამომდინარე განსხვავებული თვისებები აქვს სხვადასხვა ნიშნულის დონეების ქვანახშირებს.




სურათი 3. ტყიბულ-შაორის ქვანახშირში წვადი ელემენტების ჯამი (C+H+S) ნიშნულების მიხედვით როტერდამის სავაჭრო პალატის მონაცემებით.



სურათი 4. ტყიბულ-შაორის ქვანახშირში შიდა ბალასტის ჯამი (N+O) ნიშნულების მიხედვით როტერდამის სავაჭრო პალატის მონაცემებით.



სურათი 5. ტყიბულ-შაორის ქვანახშირში გარე ბალასტის ჯამი (A+W) ნიშნულების მიხედვით როტერდამის სავაჭრო პალატის მონაცემებით.



სურათი 6. ტყიბულ-შაორის ქვანახშირში ნაცრის შემადგენლობა ნიშნულების მიხედვით როტერდამის სავაჭრო პალატის მონაცემებით.

მთავრობის გადაწყვეტილებით დაგეგმილია ტყიბულში 150 მეგავატიანი თბოელექტროცენტრალის აშენება, რომელიც ადგილობრივ ქვანახშირზე წვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით იმუშავებს.

მდუღარე შრეში სათბობის წვის ტექნოლოგია ძალიან მგრძობიარეა სათბობის ფრაქციული შედგენილობის, წვისათვის საჭირო პირველადი ჰაერის წნევის, სათბობის შედგენილობისა და თბოუნარიანობის მიმართ. საბადოს სხვადასხვა ნიშნულის შესაბამისი რიგითი ქვანახშირის, სალექარებიდან აღებული შლამის და ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ნარჩენების გამოყენებით შესაძლებელია შეიქმნას კომპოზიტური საწვავი რომელიც უზრუნველყოფს “მდუღარე შრეში” წვის ეფექტურ პროცესს. კომპოზიტური სათბობის შესაქმნელად აუცილებელია ცალკეული კომპონენტის თვისებების შესწავლა.

ზემოთთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ტყიბულ-შაორის საბადოს ქვანახშირის სრულყოფილი გამოყენება მოითხოვს საწვავის თვისებების ყოველმხრივ შესწავლას.

გასული საუკუნის 70-იან წლების გამოკვლევებში მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა ნიშნულის ქვანახშირის მხოლოდ საშუალო თბოუნარიანობის შესახებ. მონაცემები სხვადასხვა ფენის რიგითი ქვანახშირის თბოუნარიანობის შესახებ მასში არ მოიპოვება. გარდა ამისა, ქვანახშირის მოპოვების თანამედროვე არეალი შეცვლილია. ამდენად, ტყიბულ-შაორის ქვანახშირის თბოუნარიანობის შესწავლა აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს [1].

მოცემული სამუშაოს მიზანია ტყიბულ-შაორის ქვანახშირის ერთერთი მნიშვნელოვანი თბოტექნიკური მახასიათებლის - თბოუნარიანობის გამოკვლევა.

თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა

1.1. თბოუნარიანობა - სათბობის მთავარი

თბოტექნიკური მახასიათებელი

თბოუნარიანობა - არის ნივთიერების მიერ გამოყოფილი სითბოს რაოდენობა მისი სრული დაწვის დროს (ჯოული ან კალორია). თბოუნარიანობა დაყვანილი ნივთიერების ერთეულ მასაზე ან მოლზე (მყარი და თხევადი ნივთიერებისთვის), ან მოცულობაზე (აირადი ნივთიერებისთვის) არის ხვედრითი მასური (ჯ/კგ), ხვედრითი მოლური (ჯ/მოლი) და ხვედრითი მოცულობითი (ჯ/მ³) თბოუნარიანობა შესაბამისად.

თბოუნარიანობის ექსპერიმენტულად განსაზღვრისთვის ფართოდ გამოიყენება კალორიმეტრული მეთოდი [2,3].

თბოუნარიანობის გაანგარიშება შესაძლებელია აგრეთვე სათბობის ქიმიური შედგენილობის მიხედვით. სათბობის შემადგენლობაში შედის ნახშირბადი (C) , წყალბადი (H), გოგირდი (S), აზოტი (N), გოგირდი (S), ნაცარი (A) და ტენი (წყალი) (W).

არსებობს თბოუნარიანობის რამდენიმე სახე:

1. მუშა თბოუნარიანობა (Q^d) - ეს არის თბოუნარიანობა დაყვანილი წვადი ნივთიერების მუშა მასაზე, ანუ ისეთი სახის წვად ნივთიერებაზე, როგორსაც ღებულობს მომხმარებელი;
2. თბოუნარიანობა დაყვანილი მშრალ მასაზე (Q^{m3}) - ეს არის ისეთი სახის საწვავის თბოუნარიანობა, რომელიც არ შეიცავს ტენს;
3. თბოუნარიანობა დაყვანილი წვად მასაზე (Q^{v3}) - ეს არის ისეთი სახის საწვავის თბოუნარიანობა, რომელიც არ შეიცავს ტენს და ნაცარს. სათბობის წვადი ელემენტებია C, H და S. მათგან გოგირდი არასასურველი ელემენტია რადგან მისი დაწვით მართალია მიიღება სითბო, მაგრამ წვის პროდუქტები მავნე ნივთიერებებია [3].

ასხვავებენ უმაღლეს - $Q_{უმ}$ და უდაბლეს - $Q_{უდ}$ თბოუნარიანობას. უმაღლესი თბოუნარიანობა არის სითბოს ის რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა სათბობის სრული დაწვის დროს, წვის პროდუქტებში არსებული წყლის ორთქლის კონდენსაციის სითბოს ჩათვლით.

უდაბლესი თბოუნარიანობა შეესაბამება სითბოს იმ რაოდენობას, რომელიც გამოიყოფა სათბობის სრული დაწვის დროს წყლის ორთქლის კონდენსაციის სითბოს გათვალისწინების გარეშე.

უმაღლესი და უდაბლესი თბოუნარიანობები დაკავშირებულია ერთმანეთთან ფორმულით:

$$Q_{უმ} = Q_{უდ} + k((W + 9H^{\beta}),$$

სადაც $k=25$ კჯ/კგ (6კკალ/კგ) კოეფიციენტი არის წყლის აორთქლებაზე დახარჯული სითბოს რაოდენობის მეასედი ნაწილი ; W - წყლის რაოდენობა სათბობში % (მასური); H - წყალბადის რაოდენობა სათბობში , % (მასური).

პრაქტიკაში თბოტექნიკური გაანგარიშებების დროს ვერ ხერხდება წვის პროდუქტების გაცივება მასში არსებული წყლის სრულ კონდენსაციამდე. ამიტომ შემოღებულია სათბობის უდაბლესი თბოუნარიანობის ცნება, რომელიც მიიღება უმაღლესი თბოუნარიანობიდან სათბობში არსებული ტენისა, და წყალბადის დაწვით მიღებული ტენის აორთქლებისთვის საჭირო სითბოს გამოკლებით. 1კგ წყლის ორთქლის მისაღებად იხარჯება სითბოს რაოდენობა 2514 კჯ/კგ (600კკალ/კგ). ამიტომ უდაბლესი თბოუნარიანობა გამოიანგარიშება ფორმულით

$$Q_{უდ} = Q_{უმ} - 2514 \cdot ((9H^{\beta} + W^{\beta})/100)$$

სადაც კოეფიციენტი - 9 წარმოადგენს 1კგ წყალბადის დაწვით მიღებული წყლის რაოდენობას (მიიღება 9 კგ წყალი); 2514 კჯ/კგ - წყლის აორთქლების სითბო 100 °C ტემპურატურაზე და ატმოსფერული წნევის პირობებში. H^{β} და W^{β} - მუშა სათბობში წყალბადის და ტენის შემცველობა, % [4].

უდაბლესი თბოუნარიანობა განისაზღვრება ექსპერიმენტულად.

შესაძლებელია უდაბლესი თბოუნარიანობის გაანგარიშება მენდელეევის ფორმულით სათბობის ელემენტარული შედგენილობის მიხედვით [3]:

$$Q_{\text{უღ}} = Q_{\text{უმ}} - 2514 \cdot ((9H^{\text{მ}} + W^{\text{მ}})/100)$$

$$Q_{\text{უღ}} = 339 \cdot C^{\text{მ}} + 1256 \cdot H^{\text{მ}} - 109 \cdot (O^{\text{მ}} - S_{\text{აქრ}}^{\text{მ}}) - 25,14 \cdot (9H^{\text{მ}} + W^{\text{მ}}) \text{ კჯ/კგ,}$$

ან

$$Q_{\text{უღ}} = 81 \cdot C^{\text{მ}} + 246 \cdot H^{\text{მ}} - 26 \cdot (O^{\text{მ}} - S_{\text{აქრ}}^{\text{მ}}) - 6 \cdot (9H^{\text{მ}} + W^{\text{მ}}) \text{ კკალ/კგ,}$$

სადაც $C^{\text{მ}}, H^{\text{მ}}, O^{\text{მ}}, S_{\text{აქრ}}^{\text{მ}}, H^{\text{მ}}, W^{\text{მ}}$ - არის სათბობის მუშა მასაში ნახშირბადის, წყალბადის, ჟანგბადის, აქროლადი გოგირდის და ტენის პროცენტული შემცველობა (მასური).

გაანგარიშებების დროს გამოიყენება პირობითი სათბობის ცნება, მისი ხვედრითი თბოუნარიანობა ტოლია 29308 კჯ/კგ (7000 კკალ/კგ).

ცხრილი 2

სხვადასხვა ნივთიერებებისა და მასალების უდაბლესი თბოუნარიანობა

ნივთიერებები და მასალები	უდაბლესი თბოუნარიანობა მჯ/კგ
ბენზინი	41,87
ნავთი	43,54
ქაღალდი	13,40
შეშა ტენიანობით 14%	13,80
ნატურალური კაუჩუკი	44,73
ლინოლიუმი პოლივინილქლორიდის	14,31
რეზინა	33,52
ქსოვილი	13,80
პოლიეთილენი	47,14
პენოპოლისტიროლი	41,60
ბამბა	15,70
პლასტმასა	41,87

ზოგიერთ ქვეყანაში სარგებლობენ უმაღლესი თბოუნარიანობით, ხოლო ზოგიერთში უდაბლესით. ასე მაგალითად რუსეთში - უდაბლესით, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში - უმაღლესით. დიდ ბრიტანეთში

და აშშ-ში მეტრული სისტემის შემოღებამდე სარგებლობდნენ ბრიტანული თბური ერთეულებით.

ცხრილ 2-ში მოცემულია სხვადასხვა ნივთიერებების და მასალების თბოუნარიანობის მონაცემები.

1.2. კალორიმეტრის ზოგადი დებულებები

კალორიმეტრული სისტემა წარმოადგენს ფიზიკურ სისტემას, რომელიც შედგება ცალკეული სხეულების ერთობლიობისაგან, რომელთა შორისაც ხორციელდება თბოცვლა თბოგამტარობით, კონვექციითა და გამოსხივებით. სითბოს გამოყოფის ან შთანთქმის დროს იცვლება კალორიმეტრული სისტემის მდგომარეობა [5].

თბური მდგომარეობა არის სისტემის განზოგადებული მახასიათებელი, რომელიც გამოხატავს მასში ტემპერატურის განაწილებას, სისტემის ცალკეულ ნაწილებსა და გარემომცველ გარემოს შორის თბოცვლის მიმართულებას, სიჩქარეს და ინტენსივობას. მაგალითად საწყის თბურ მდგომარეობაში (კალორიმეტრული ცდის საწყისი პერიოდი) სისტემა ხასიათდება ტემპერატურის თანაბარი ცვლილების შედარებით მცირე სიჩქარით. ამასთან, სისტემა პრაქტიკულად იმყოფება გაცხელების ან გაცივების რეგულარულ სტადიაში. საბოლოო თბურ მდგომარეობაში (კალორიმეტრული ცდის საბოლოო პერიოდი) სისტემა ხასიათდება ტემპერატურის ისეთივე თანაბარი ცვლილების თბურ მდგომარეობაში, როგორშიც იმყოფებოდა საწყის პერიოდში, ოღონდაც, ტემპერატურის ცვლილების სიჩქარე, მისი აბსოლუტური მნიშვნელობა და გარემოსთან თბოცვლის ინტენსიობა განსხვავებული იქნება საწყისი თბური მდგომარეობის შესაბამისი პარამეტრების მნიშვნელობებისაგან.

ერთი თბური მდგომარეობიდან სხვა თბურ მდგომარეობაში გადასვლა ხასიათდება სისტემის ცალკეული ნაწილების კონკრეტული თბური თვისებების ცვლილებით და ფიზიკო-ქიმიური პროცესების ხასიათით, რომელთა შედეგადაც გამოიყოფა ან შთანთქმდება სითბო. სისტემის ერთი თბური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის დროს

ტემპერატურული ველის ცვლილება ჩვეულებრივ კონტროლდება სისტემის ერთ წერტილში ან ნაწილში, რის საფუძველზეც განისაზღვრება კალორიმეტრული ცდის ტემპერატურული მრუდი, ანუ ტემპერატურის დროზე დამოკიდებულება. ტემპერატურული მრუდის ხასიათი განისაზღვრება საწყის მომენტში ტემპერატურის ველის უთანაბრობით, კალორიმეტრული სისტემის თბური თვისებებით და გარემოსთან თბოცვლის ხასიათით.

თუ სიტბო, რომელიც გამოიყოფა კალორიმეტრულ სისტემაში, იხარჯება თბოშემცველობის გაზრდაზე, მაშინ სამართლიანი იქნება შემდეგი განტოლება

$$Q = H(\vartheta_f - \vartheta_0), \quad (1)$$

სადაც Q არის სიტბოს რაოდენობა; H - სისტემის ჯამური სიტბოტევადობა; ϑ_f და ϑ_0 - სისტემის საბოლოო და საწყისი ტემპერატურები შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ კალორიმეტრულ სისტემას არ აქვს მკაფიო საზღვრები, რაც ართულებს მისი ჯამური სიტბოტევადობის განსაზღვრას. საზღვრად ჩაითვლება კალორიმეტრული სისტემის ზედაპირი, რომელიც იმყოფება გარემოსთან თბოცვლის პირობებში. თუ თბოცვლის პირობები ერთნაირია ზედაპირის ნებისმიერი ნაწილისათვის, მაშინ საზღვარი იქნება სისტემის გეომეტრიული ზრდაპირი (მაგალითად, თბოცვლის პირობები იზოთერმულ ან ადიაბატურ გარსაცმთან). ხოლო, თუ ეს პირობები არაერთგვაროვანია, მაგალითად, გარსაცმთან თბოცვლა ხორციელდება ერთდროულად თბური გამოსხივებით და თბოგამტარობით, მაშინ სისტემის საზღვარი ხდება განუსაზღვრელი. მაგალითად, წყლის კალორიმეტრში სარეველას და თერმომეტრის ნაწილი იმყოფება კალორიმეტრულ ჭურჭელში, ხოლო სხვა ნაწილი გარსაცმში და კალორიმეტრის თავზე. ასეთ პირობებში სისტემის ელემენტები იწვევენ კალორიმეტრის ტემპერატურული ველის დამახინჯებას და კალორიმეტრული საზღვრების განუზღვრელობას.

კონკრეტული სისტემისათვის მოცემული საწყისი და საბოლოო ტემპერატურული ველის პირობებში შეიძლება განვსაზღვროთ პარამეტრი H . ამ შემთხვევაში ეს პარამეტრი ახასიათებს კალორიმეტრულ სისტემას იმ თვალსაზრისით, რომ ტემპერატურა სისტემაში შეიცვლება სისტემაში გამოყოფილი სითბოს შესაბამისად.

(1) განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ სითბოს რაოდენობის (Q) განსაზღვრისათვის აუცილებელია თბური ეკვივალენტის (H) და ტემპერატურული ნაზრდის ($\theta_f - \theta_0$) განსაზღვრა. თბური ეკვივალენტის განსაზღვრა შესაძლებელია აბსოლუტური და ფარდობითი მეთოდით. აბსოლუტური მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: კალორიმეტრულ სისტემას სითბო გადაეცემა მასში მოთავსებულ წინაღობაში ელექტრული დენის გავლით. გადაცემული სითბოს რაოდენობა განისაზღვრება წინაღობაში გამავალი დენის ძალის სიდიდის, წინაღობის ბოლოებზე ძაბვის სიდიდის და დენის გავლის ხანგრძლივობის გაზომვით. ამ სიდიდეების გაზომვა სასურველი სიზუსტით გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული და ექსპერიმენტის ჩატარების თვალსაზრისით საკმაოდ მოუხერხებელია. თბური ეკვივალენტის განსაზღვრის ფარდობითი მეთოდი გულისხმობს კალორიმეტრული გაზომვების ჩატარებას ცნობილი თბოუნარიანობის მქონე ნივთიერების (სანიმუშო ნივთიერების) გამოყენებით, ანუ კალორიმეტრული სისტემის კალიბრებას. ამ შემთხვევაში კალორიმეტრული სისტემის თბური ეკვივალენტი (1) გამოსახულებით განისაზღვრება. ფარდობით მეთოდს შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

1. ატესტირებული სანიმუშო ნივთიერების გამოყენების შემთხვევაში გაზომვის სიზუსტე პრაქტიკულად არ მცირდება;
2. შესაძლებელი ხდება კალორიმეტრული სისტემის ტემპერატურის ცვლილების მრუდები პრაქტიკულად ერთნაირი იყოს კალიბრებისა და ძირითადი გაზომვების დროს, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს შესაძლო სისტემატურ ცდომილებებს. ეს მიიღწევა შესაფერისი თბოუნარიანობის მქონე სანიმუშო ნივთიერების შერჩევით;

3. ექსპერიმენტის ჩატარების თვალსაზრისით კალორიმეტრის კალიბრება სანიმუშო ნივთიერების გამოყენებით უფრო მოხერხებულია.

სითბური სიდიდეების (სითბოს რაოდენობა, ენტალპია, თბური ნაკადი, სითბოტევადობა) გაზომვის მეთოდებიდან ცნობილია სამი ჯგუფი: შერევის მეთოდი, სითბოს შიგა წყაროს მეთოდი და სითბოს ნაკადის მეთოდი.

შერევის მეთოდის მიხედვით გაცხელებული ნიმუში შეყავთ კალორიმეტრში, რაც იწვევს კალორიმეტრული სისტემის ტემპერატურის ზრდას. კალორიმეტრზე გადაცემული სითბოს რაოდენობა განისაზღვრება (1) ფორმულით.

სითბოს შიგა წყაროს მეთოდი შეიძლება განხორციელდეს ორი ვარიანტით: პირველი ვარიანტის მიხედვით იზომება სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა სითბოს წყაროთი დროის გარკვეულ პერიოდში (სითბოს პერიოდული მიწოდების ვარიანტი). მეორე ვარიანტი შემდეგში მდგომარეობს: კალორიმეტრულ სისტემას უწყვეტად მიეწოდება გარკვეული რაოდენობის სითბური სიმძლავრე (უწყვეტი გაცხელების მეთოდი). საანგარიშო ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$w = H(\vartheta) \frac{d\vartheta}{d\tau}, \quad (2)$$

სადაც w არის სითბოს წყაროს თბური სიმძლავრე, $H(\vartheta)$ - სისტემის სრული სითბოტევადობა ϑ ტემპერატურაზე, $\frac{d\vartheta}{d\tau}$ ტემპერატურის ცვლილების სიჩქარე. სითბოს შიგა წყაროს უწყვეტი გაცხელების მეთოდი გამოიყენება სითბოტევადობის და ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტების გასაზომად.

სითბოს ნაკადის მეთოდი ხორციელდება კალორიმეტრში მუდმივი სიჩქარით და უწყვეტად გაზის ან სითხის გატარებით. კალორიმეტრში ნივთიერება კარგავს ან იღებს სითბოს. ცნობილია, რა კალორიმეტრში შეტანამდე ნივთიერების ტემპერატურა ϑ_0 და მისი საბოლოო ტემპერატურა ϑ_f , სითბოს რაოდენობა განისაზღვრება (1) ფორმულით. ასეთ

შემთხვევისათვის კალორიმეტრული სისტემის სითბოტევადობა $H = Mc$, , სადა M არის ნივთიერების მასა, რომელიც გაივლის კალორიმეტრში, c - ნივთიერების ხვედრითი სითბოტევადობა.

1.3. კალორიმეტრული ექსპერიმენტი


კალორიმეტრში მიმდინარე თბური პროცესის ინტენსივობა და სიჩქარე განსაზღვრავს კალორიმეტრის ცდის ტემპერატურის მრუდის სახეს. ბუნებრივია, რომ კალორიმეტრული სისტემის ცალკეული ნაწილების თბური თვისებები, ასევე გავლენას ახდენენ ტემპერატურის ველის ხასიათზე.

კალორიმეტრული სისტემა შეიძლება მოთავსებული იყოს იზოთერმულ გარსაცმში. მაშინ კალორიმეტრული სისტემისა და გარსაცმის განსხვავებული ტემპერატურული პირობების შემთხვევაში, მათ შორის წარმოიშობა თბოცვლა, რომელიც დაამახინჯებს კალორიმეტრის ტემპერატურის მრუდს. შესაბამისად აუცილებელია თბოცვლაზე შესწორების გათვალისწინება.

ექსპერიმენტების ჩატარება ყველაზე უფრო მარტივია, როცა კალორიმეტრს აქვს იზოთერმული გარსაცმი, როცა ბირთვის და გარსაცმს დროის ნებისმიერ მომენტისათვის აქვთ ერთნაირი ტემპერატურა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი საჭიროა პრაქტიკულად არსებული გარკვეული ტემპერატურათა სხვაობის გათვალისწინება.

იმისათვის, რომ გამოირიცხოს კალორიმეტრის გარემოსთან თბოცვლის პროცესი, კალორიმეტრს ათავსებენ გარსაცმში, რომლის ტემპერატურა დროის ნებისმიერ მომენტისათვის კალორიმეტრის ზედაპირული ტემპერატურის ტოლია. ამიტომ ადგილი არ აქვს კალორიმეტრის გარემოსთან თბოცვლას. შედეგად კალორიმეტრში გამოყოფილი სითბო არ იკარგება და ტემპერატურული მრუდი არ დამახინჯდება. პრაქტიკაში ყოველთვის ვერ ხერხდება მკაცრად ადიაბატური პირობების შესრულება. ამიტომ კალორიმეტრის და გარსაცმის

არაკომპენსირებულ ტემპერატურათა სხვაობაზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი შესწორება.



სურათი 7. კალორიმეტრული ცდის ტემპერატურული მრუდები

სურათ 7-ზე ნაჩვენებია კალორიმეტრული ცდის ტემპერატურული მრუდები, როცა კალორიმეტრს გააჩნია t_f ტემპერატურის მქონე იზოთერმული გარსაცმი. ნაჩვენებია ორი შემთხვევა (I და II). პირველი შემთხვევა შეესაბამება ისეთ თბურ პროცესებს, რომლის დროსაც ტემპერატურა ცდის დროს მუდმივად რჩება გარსაცმის ტემპერატურაზე ნაკლები (I შემთხვევის მრუდი 1). მეორე შემთხვევა ხასიათდება იმით, რომ კალორიმეტრის ტემპერატურა დასაწყისში ნაკლებია გარსაცმის ტემპერატურაზე, ხოლო შემდეგ ცდის ბოლომდე აღემატება მას (II შემთხვევის მრუდი 1) [5].

კალორიმეტრული ცდა იყოფა სამ პერიოდად: საწყისი, მთავარი და საბოლოო. სამივე პერიოდში ტემპერატურის ცვლილების მონაცემების მიხედვით გამოითვლება კალორიმეტრში გამოყოფილი სითბო.

საწყის პერიოდში ($\tau < \tau_0$) კალორიმეტრულ სისტემაში ტემპერატურის გრადიენტი მცირეა, თბოცვლა გარემოსთან ზრდის კალორიმეტრის ტემპერატურას, თუ იგი ნაკლებია გარსაცმის ტემპერატურაზე. ცდის საწყის პერიოდში ტემპერატურის ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე სითბოს წყაროს მოქმედებით, მაგალითად, წინაღობის თერმომეტრში საზომი დენის გავლის გამო, ან კალორიმეტრული სითბის შემრევით. თუ τ_0 მომენტში კალორიმეტრში გამოიყოფა სითბო, მაშინ ამ სითბოს რაოდენობის მიხედვით კალორიმეტრის ტემპერატურულ მრუდს ექნება I ან II სახე. შიგა სითბოს წყაროს არსებობისას და გარსაცმთან თბოცვლის შემთხვევაში კალორიმეტრის ტემპერატურა მიისწრაფვის ზღვრული ტემპერატურისაკენ - t_∞ , რომელიც ჩვეულებრივ აღემატება გარსაცმის ტემპერატურას. წყლის კალორიმეტრული სისტემებისათვის $t_\infty - t_i \approx 0.3 - 0.5^\circ C$.

როცა კალორიმეტრული სისტემასა და გარსაცმს შორის თბოცვლას ადგილი არ აქვს (ადიაბატური გარსაცმი) ტემპერატურა იცვლება მხოლოდ გამოსაკვლევი პროცესის შედეგად (მრუდი 1 I და II შემთხვევებისათვის).

I შემთხვევისათვის, როცა $\vartheta < t_\infty$, ($t_\infty - t_i \approx 0.3 - 0.5^\circ C$), და ადგილი აქვს თბოცვლას, მრუდი 2 ყოველთვის მრუდი 1-ის ზემოთ იქნება.

II შემთხვევისათვის, როცა $\vartheta_0 < \vartheta < t_i$ ადგილი ექნება სითბოს მოდინებას გარსაცმიდან კალორიმეტრისკენ და ϑ_1 ტემპერატურა, რომელიც შეესაბამება მრუდ 1-ს, იქნება უფრო დაბლა ვიდრე მრუდი 2-ის შესაბამისი ϑ_2 ტემპერატურა; $\tau = \tau_e$ მომენტში ტემპერატურები იქნება ერთმანეთის ტოლი $\vartheta_1 = \vartheta_2$, ხოლო შემდეგ ტემპერატურა ϑ_2 გახდება ϑ_1 -ზე ნაკლები. 1 და 2 მრუდების მაქსიმუმები ერთმანეთს არ ემთხვევა.

კალორიმეტრის მთავარი პერიოდი შეესაბამება დროის შუალედს, როცა სისტემაში გამოიყოფა სითბო. ნახაზზე იგი შეესაბამება დროის ინტერვალს $\tau_f - \tau_0$.

მთავარი პერიოდის დამთავრების განსაზღვრა რთული ამოცანაა. ეს აიხსნება იმით, რომ მთავარი პერიოდის ბოლოს კალორიმეტრის ტემპერატურა იცვლება, როგორც გამოყოფილი სითბოს გავლენით, აგრეთვე კალორიმეტრის თბოცვლით გარემოსთან. მთავარი პერიოდის დამთავრების შესაფასებლად ყველაზე უფრო გავრცელებული კრიტერიუმია $\tau = \tau_f$ მომენტის ფიქსირება, როცა კალორიმეტრის ტემპერატურა მუდმივი სიჩქარით იწყებს შეცვლას ტემპერატურის მატებით (შემთხვევა I) ან კლებით (შემთხვევა II).

არსებობს ცდის დამთავრების განსაზღვრის ანალიზური მეთოდები. კალორიმეტრული ცდის ბოლო პერიოდი ეწოდება პერიოდს, როცა ტემპერატურა იცვლება კალორიმეტრის გარემოსთან თბოცვლით. საბოლოო პერიოდი $\tau > \tau_f$ უშუალოდ ესაზღვრება მთავარ პერიოდს.

(1) განტოლების თანახმად, კალორიმეტრში გამოყოფილი სითბოს რაოდენობის დასადგენად საჭიროა კალორიმეტრული სისტემის თბური ექვივალენტის და ტემპერატურის ნაზრდის ცოდნა. ეს განტოლება სამართლიანია იმ შემთხვევაში, როცა სითბოს ცვლა გარემოსთან არ ხდება.

ხშირად კალორიმეტრული სისტემა არასაკმარისად არის იზოლირებული გარე თბური ზემოქმედებისაგან. ამიტომ სითბოს ზუსტი გაანგარიშებისათვის აუცილებელია შესწორებების გათვალისწინება. ანუ უნდა განისაზღვროს სითბოს რაოდენობა q , რომელსაც კარგავს ან იღებს სისტემა გარემოსაგან დამატებითი თბური პროცესით, ან უნდა განისაზღვროს ტემპერატურის ცვლილება Δt რომელიც გამოწვეულია ამ სითბოს ნაკადით. ასეთ შემთხვევაში, ანუ, როდესაც ადგილი აქვს კალორიმეტრსა და გარემოს შორის სითბოს ცვლას, (1) განტოლება მიიღებს სახეს

$$Q = H(\vartheta_f - \vartheta_0) + q.$$

ამ განტოლებაში $q = H\Delta t$, სადაც Δt არის თბოცვლაზე ტემპერატურული შესწორება.

ასეთ შემთხვევაში სამართლიანია განტოლება

$$Q = H(\Delta\theta + \Delta t) = H\Delta T,$$

სადაც ΔT არის კალორიმეტრში ტემპერატურის ნაზრდი, გამოწვეული შესასწავლი სითბური ეფექტის გავლენით.

სურათ 7-დან ჩანს, რომ I შემთხვევისთვის ტემპერატურის ხილული ნაზრდი აღემატება ნამდვილ ნაზრდს - $\Delta\theta > \Delta T$, ამიტომ თბოცვლაზე ტემპერატურული შესწორება უარყოფითია ($\Delta t < 0$). II შემთხვევისთვის $\Delta\theta < \Delta T$ და $\Delta t > 0$. მაგრამ მრუდებისთვის, რომლებიც ხასიათდებიან მაქსიმუმებით (II შემთხვევის 1 და 2 მრუდები), თანაფარდობა $\Delta\theta$ -სა და ΔT -ს შორის დამოკიდებულია მრუდების ფორმაზე და ცდის ორი პერიოდის ხანგრძლივობებზე. ერთ-ერთი მათგანი მოიცავს დროს $\tau_i - \tau_0$, ხოლო მეორე - $\tau_f - \tau_i$. თუ სითბოს რაოდენობა, რომელსაც კარგავს კალორიმეტრი $\tau_f - \tau_i$ დროში მეტი იქნება კალორიმეტრის მიერ $\tau_i - \tau_0$ დროში მიღებულ სითბოზე, მაშინ ტემპერატურული შესწორება იქნება დადებითი - $\Delta t > 0$.

1.4. კალორიმეტრულ სისტემაში სითბოსცვლის პროცესები

კალორიმეტრული სისტემა წარმოადგენს სხვადასხვა ელემენტების ერთობლიობას, რომელთა შორისაც ხდება თბოცვლა. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც არაერთგვაროვანი ბირთვი, რომელშიც მიმდინარეობს შესასწავლი სითბოს გამოყოფა ან შთანთქმა და გარსაცმი, რომელთანაც ბირთვი თბოცვლის პროცესშია. ასეთ სისტემაში ტემპერატურის ცვლილების კანონზომიერება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბირთვის თბური თვისებები, როგორებიცაა: თბოგამტარობა, ტემპერატურაგამტარობა, სითბოტევადობა. ტემპერატურის ცვლილების კანონზომიერება დამოკიდებულია ასევე კალორიმეტრული სისტემის ცალკეულ ელემენტებს

შორის თბური კავშირების ხასიათზე და ბირთვისა და გარსაცმს შორის თბური კავშირებზე [5].

კალორიმეტრული სისტემა შეიძლება შედგებოდეს აირადი, თხევადი ან მყარი სხეულებისაგან. აქედან გამომდინარე, თბოცვლა მათ შორის შეიძლება წარმოებდეს როგორც თბოგამტარობით, ასევე კონვექციით და გამოსხივებით.

სხეულებს შორის თბოცვლა თბოგამტარობით ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ სხეულები ერთმანეთს ეხება. თბოგამტარობით სითბოს გადაცემა შესაძლებელია აირებშიც, სითხეებშიც და მყარ სხეულებშიც. აირებში და სითხეებში ენერგია გადაეცემა სხვადასხვა კინეტიკური ენერგიის მქონე მოლეკულების შეჯახებით. მაგრამ ამ პროცესს სუფთა სახით არ აქვს ადგილი, ვინაიდან ასეთი სახით სითბოს ცვლას თან ახლავს კონვექცია.

მყარ სხეულებში სითბოს გადაცემა ხდება ელექტრონებით და ნივთიერების მესერით.

თბოგადაცემის შესწავლის დროს გამოყოფენ სისტემის ნაწილს, რომლისთვისაც თბური თვისებები შეიძლება ჩაითვალოს მუდმივ სიდიდეებად.

კონვექციით სითბოს გადაცემა ხდება აირად და თხევად სხეულებში. კონვექციით სითბოს გადაცემისას უფრო მაღალი ტემპერატურის მქონე სითხის ან აირის მოცულობები გადაადგილდება ზემოთ, ხოლო უფრო დაბალი ტემპერატურის მქონე მოცულობები ეშვება ქვემოთ მათ ადგილზე. კონვექციის ასეთი ტიპი ცნობილია, როგორც ბუნებრივი ანუ თავისუფალი კონვექცია. თუ სხეულის ნაწილაკები შეერევა ერთმანეთს გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად (მაგალითად ტუმბოს საშუალებით) მაშინ სითბოს გადაცემას უწოდებენ იძულებით კონვექციას.

კალორიმეტრული სისტემისათვის დამახასიათებელია ბუნებრივი კონვექცია. მაგალითად, თბოუნარიანობის განსაზღვრისას კალორიმეტრში თბოცვლა ხდება ბუნებრივი კონვექციით ბირთვისა (კალორიმეტრულ

ყუმბარასა), რომელიც მოთავსებულია წყლიან კალორიმეტრულ ჭურჭელში, და გარსაცმს შორის. მასიურ კალორიმეტრში, რომელიც გამოიყენება ხვედრითი სითბოტევადობის ან თბოუნარიანობის გასაზომად, სითბოს ცვლა ხდება მასიურ ლითონის ბირთვისა და კალორიმეტრის კედლებს შორის.

სითბოს გადაცემა გამოსხივებით ხორციელდება სხეულების ზედაპირებს შორის რომლებიც გაყოფილია გარემოთი, რომელიც ატარებს ამ გამოსხივებას. სხეულის თბური ენერგია გარდაიქმნება ელექტრომაგნიტურ თბურ გამოსხივებად რომლის ნაწილი შთაიმთქმება სხვა სხეულების მიერ და გარდაიქმნება თბურ ენერგიად. გარკვეული ზომით გამოსხივებითი თბოცვლა ხდება ყველა კალორიმეტრში. ვაკუუმურ კალორიმეტრში ბირთვისა და გარსაცმს შორის თბოცვლა ხორციელდება თბური გამოსხივების კანონებით.

პრაქტიკულად რეალურ კალორიმეტრულ სისტემაში თბოცვლა ცალკეულ ნაწილებს შორის ხორციელდება ერთი ან რამდენიმე მექანიზმით. მაგალითად, თბოცვლა ბირთვისა და გარსაცმს შორის, რომლებიც გაყოფილია ჰაერის ფენით, ხორციელდება თბოგამტარობით, კონვექციით და გამოსხივებით. თუ საჭიროა თბოცვლის შემცირება, ამცირებენ მანძილს ბირთვისა და გარსაცმს შორის, რაც მინიმუმამდე ამცირებს ბუნებრივ კონვექციას. ამ დროს შესაბამისად იზრდება თბოგამტარობის და გამოსხივების წილები.

კალორიმეტრში, რომელშიც ხდება ქიმიური რეაქციის თბური ეფექტის გაზომვა, ყუმბარიდან წყალზე სითბოს გადაცემა ძირითადად ხდება იძულებითი კონვექციით (საცირკულაციო წყლის გადაადგილება), თუმცა თბოცვლის უმნიშვნელო ნაწილი მოდის თბოგამტარობის მექანიზმზე.

1.4.1. თბოგამტარობის განტოლება.

სითბოს გადატანა სხეულში ხდება სხვადასხვა ტერმპერატურის მქონე ზედაპირებს შორის. განიხილება ისეთი ზედაპირები, რომელთაც აქვთ

ერთნაირი ტემპერატურები (იზოთერმული ზედაპირები). სითბოს გავრცელების მიმართულება ემთხვევა იზოთერმული ზედაპირების ნორმალის მიმართულებას და სპირისპიროა ტემპერატურის გრადიენტის.

სხეულში სითბოს გავრცელების მათემატიკურ ფორმულას აქვს სახე (ფურიეს კანონი):

$$q = -\lambda \frac{\partial \theta}{\partial n}.$$

ამ ფორმულის მიხედვით სითბოს რაოდენობის სიმკვრივე პროპორციულია ტემპერატურის გრადიენტის. სითბოს სიმკვრივე არის სითბოს რაოდენობა, რომელიც გადის 1მ^2 იზოთერმულ ზედაპირში ერთი წამის განმავლობაში. მისი განზომილებაა ვტ/მ².

თბოგამტარობა არის ტემპერატურის ფუნქცია, მაგრამ გარკვეული ამოცანის გადაწყვეტისას, კერძოდ, თუ ტემპერატურის ცვლილება შემოსაზღვრულია, შეიძლება ჩაითვალოს, რომ, თბოგამტარობა არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. კალორიმეტრულ ცდებში, სადაც ტემპერატურა იცვლება მხოლოდ რამდენიმე გრადუსით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ თბოგამტარობა პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე.

ენერგიის მუდმივობის კანონისა და ფურიეს კანონის საფუძველზე შეიძლება გამოყვანილი იქნეს თბოგამტარობის განტოლება. სხეულში, რომელშიც მოქმედებს თანაბრად განაწილებული სითბოს წყარო, თბოგამტარობის განტოლებას აქვს სახე:

$$c\gamma \frac{\partial \theta}{\partial \tau} = \frac{\partial}{\partial x} \left(\lambda \frac{\partial \theta}{\partial x} \right) + \frac{\partial}{\partial y} \left(\lambda \frac{\partial \theta}{\partial y} \right) + \frac{\partial}{\partial z} \left(\lambda \frac{\partial \theta}{\partial z} \right) + \omega,$$

სადაც τ არის დრო, წმ; $c=f_2(x,y,z,\tau)$ - ხვედრითი სითბოტევადობა, ჯ/კგ/°C; $\gamma=f_3(x,y,z,\tau)$ - სიმკვრივე, კგ/მ³; ω - თბური წყაროს სიმძლავრე ერთეულ მოცულობაში, ვტ/მ³; $\lambda=f_4(x,y,z,\tau)$ - თბოგამტარობისკოეფიციენტი, ვტ/მ/°C.

მოცემული დიფერენციალური განტოლება გამოსახავს სხეულში ტემპერატურული ველის განაწილებას [6].

არჩევნ ოთხი სახის სასაზღვრო პირობას. პირველი სახის სასაზღვრო პირობის თანახმად მოცემულია ტემპერატურის განაწილება დროის ნებისმიერი მომენტისთვის:

$$\vartheta_s = f_1(x_s, y_s, z_s, \tau);$$

მეორე სახის სასაზღვრო პირობის მიხედვით მოცემულია სითბური ნაკადის განაწილება:

$$q_s = f_2(x_s, y_s, z_s, \tau);$$

მესამე სახის სასაზღვრო პირობის მიხედვით მოცემულია თბოცვლის პირობები, რომელიც აღიწერება ნიუტონის კანონით:

$$q_s = q_\alpha;$$

მეოთხე სახის სასაზღვრო პირობის თანახმად:

$$\begin{aligned} \vartheta_{1s}(\tau) &= \vartheta_{2s}(\tau), \\ -\lambda_1 \frac{\partial \vartheta_{1s}(\tau)}{\partial n} &= -\lambda_2 \frac{\partial \vartheta_{2s}(\tau)}{\partial n}. \end{aligned}$$

1.4.2. კონვექციური თბოცვლა.

მყარი სხეული, რომელიც მოთავსებულია აირის ან სითხის გარემოში კარგავს ან ღებულობს სითბოს თუ მას აქვს გარემოსაგან განსხვავებული ტემპერატურა. სითბოცვლის მიკროსურათი არის ძალიან რთული და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე გარემოს თვისებების ჩათვლით.

სითბოს გადაცემის მექანიზმი აირისა და სითხეების არეში გარკვეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სხეულის ზედაპირის უშუალოდ სიახლოვეს სითბოს გადაცემა გარემოში ხორციელდება თბოგამტარობით. თუ გარემო გამჭვირვალეა გამოსხივებისათვის, მაშინ სხეულმა შიძლება სითბო დაკარგოს გამოსხივებით. თბოცვლა შეიძლება მიმდინარეობდეს ბუნებრივი ან იძულებითი კონვექციით. მყარი სხეულის თბოცვლა აირად ან სითხის გარემოსთან აიწერება მიახლოებითი ანალიზური დამოკიდებულებით, რომელიც ცნობილია ნიუტონის კანონით:

$$q = \alpha(\vartheta_s - t_i),$$

სადაც g_s არის სხეულის ზედაპირის ტემპერატურა, t_i - გარემოს ტემპერატურა. მოცემული გამოსახულებიდან გამომდინარეობს, რომ სითბოს ნაკადის სიმკვრივე სხეულისა და გარემოს შორის ტემპერატურათა სხვაობის პროპორციულია. პროპორციულობის კოეფიციენტს - α -ს ეწოდება თბოგაცემის კოეფიციენტი. თუ თბოცვლა ხორციელდება ძირითადად კონვექციით, მაშინ თბოგაცემის კოეფიციენტს ეწოდება კონვექციური თბოცვლის კოეფიციენტი [7].

ცდები ჩვენებს, რომ რთული კონფიგურაციის მქონე სხეულის სხვდასხვა უბანზე თბოგაცემა დამოკიდებულია სხეულის გეომეტრიაზე და განისაზღვრება აირის ან სითხის მოძრაობის სიჩქარით. ეს განსხვავებები ართულებს თბოგაცემის ამოცანის თეორიულ შესწავლას. ამიტომ უმარტივეს შემთხვევაშიც კი მათემატიკური სირთულეების გამო თბოგაცემის უმრავლესი ამოცანა ამოიხსნება მხოლოდ ისეთი მიახლოებით, რომ თბოგაცემის კოეფიციენტი არ არის დამოკიდებული განსახილველი სხეულის წერტილების კოორდინატებზე. ცალკეული უმარტივესი შემთხვევებისათვის შესაძლებელია მათემატიკური ანალიზის სიზუსტის გაზრდა.

თბოგამტარობის ანალიზური თეორიის მიხედვით მყარი სხეულის საზღვარზე თბური ბალანსი ჩაიწერება ასე:

$$dq = dq_\alpha,$$

ანუ, dq სითბო, რომელიც მიეწოდება სხეულის საზღვარს მისი შიგა ნაწილიდან, გადაეცემა გარემოს და გაიბნევა მასში (dq_α).

ფურიესა და ნიუტონის კანონების გამოყენებით მიიღება [7]:

$$-\lambda_1 \frac{\partial g(\tau)}{\partial n} = \alpha(g_s - t_i).$$

წყლის კალორიმეტრში რეაქციის თბური ეფექტის განსაზღვრისათვის, (მაგალითად წვის სითბოს) ყუმბარას ათავსებენ წყლიან კალორიმეტრულ ჭურჭელში. თუ ჭურჭელში წყლის არევის პირობები

ისეთია (ინტენსიური არევა), რომ თბოგაცემის კოეფიციენტი შესაძლებელია ჩაითვალოს უსასრულოზად, მაშინ

$$\theta_s = t_i,$$

ე.ი. ყუმბარის ზედაპირზე ტემპერატურა θ_s ტოლია ჭურჭელში წყლის ტემპერატურის t_i .

კალორიმეტრული ჭურჭლის ზედაპირსა და გარსაცმს შორის თბოგაცემის კოეფიციენტს აქვს სასრული მნიშვნელობა. იგი შეიძლება განისაზღვროს ექსპერიმენტული მონაცემებიდან, რისთვისაც საჭიროა კალორიმეტრული ცდის საწყისი და საბოლოო პერიოდების ექსპერიმენტული განსაზღვრა.

1.4.3. თბოცვლა გამოსხივებით

თუ მყარი სხეული იმყოფება სხვა სხეულების გარემოცვაში და მათი გამყოფი გარემო არის გაზი ან სითხე, რომელც სრულად არ შთანთქავს გამოსხივებას, მაშინ ადგილი ექნება მათთან გამოსხივებით თბოცვლის პროცესს. სითბოს რაოდენობა რომელსაც ასხივებს აბსოლუტურად შავი სხეული ერთეული ზედაპირიდან დროის ერთეულში იანგარიშება ფორმულით:

$$q = \sigma_0 T^4,$$

სადაც $\sigma_0 = 5,7 \cdot 10^{-8}$ ვტ/(მ²T⁴) არის აბსოლუტურად შავი სხეულის გამოსხივების მუდმივა, T - გამოსხივების ზედაპირის ტემპერატურა [7].

ეს ფორმულა წარმოადგენს სტეფან-ბოლცმანის კანონის მათემატიკურ გამოსახულებას, რომლის მიხედვითაც: თბური ნაკადის სიმკვრივე პროპორციულია აბსოლუტური ტემპერატურის მეოთხე ხარისხის.

ტექნიკური გაანგარიშებების დროს გამოსხივება იანგარიშება ფორმულით

$$q = C_0 \left(\frac{T}{100} \right)^4,$$

სადაც $C_0 = 10^8 \cdot \sigma_0 = 5,7$ ვტ/(მ²Т⁴) აბსოლუტურად შავი სხეულის გამოსხივების კოეფიციენტი.

რეალური სხეულების გამოსხივების კოეფიციენტი $C < C_0$, და სტეფან-ბოლცმანის კანონი ასე ჩაიწერება

$$q = C \left(\frac{T}{100} \right)^4,$$

მოცემულ გამოსახულებაში $C = \varepsilon C_0$, სადაც ε - არის ნაცრისფერი სხეულის გამოსხივების ხარისხი (სიშავის ხარისხი).

გამოსხივებული ან შთანთქმული ენერჯიის გამოსათვლელად უნდა გავითვალისწინოთ სხეულების ზედაპირების გეომეტრული ფორმები და ურთიერთმდებარეობები, რომელთა შორისაც ხდება გამოსხივებით თბოცვლა.

ორ ბრტყელ ზედაპრს შორის თბოცვლა, რომელთა ტემპერატურებია T_1 და T_2 , ხოლო გამოსხივების კოეფიციენტებია C_1 და C_2 , თბური ნაკადი გამოითვლება ფორმულით:

$$q = C_{\text{დაყ}} \left[\left(\frac{T_1}{100} \right)^4 - \left(\frac{T_2}{100} \right)^4 \right].$$

მოცემულ გამოსახულებაში $C_{\text{დაყ}}$ არის გამოსხივების დაყვანილი კოეფიციენტი და იგი გამოითვლება ფორმულით

$$\frac{1}{C_{\text{დაყ}}} = \frac{1}{C_1} + \frac{1}{C_2} - \frac{1}{C_0}.$$

როცა გამოსხივების ზედაპირებს აქვს რთული კონფიგურაცია მაშინ ფორმულა მნიშვნელოვნად რთულდება. გამოსახულება შეიძლება ასე ჩაიწეროს

$$q_{\text{გამ}} = \alpha_{\text{გამ}} (\vartheta_s - t_i),$$

სადაც $\alpha_{\text{გამ}}$ არის გამოსხივებით თბოცვლის კოეფიციენტი და იგი ტოლია


$$\alpha_{\text{გამ}} = 0,04 C_{\text{გამ}} \left(\frac{\vartheta_s + 273,15}{100} \right)^3.$$

თბოცვლა გამოსხივებით დამახასიათებელია ვაკუუმური
კალორიმეტრისათვის, რომელიც გამოიყენება სითბოტევადობის
გასაზომად.

თავი 2. კალორიმეტრული სისტემების მოდელირება

2.1. მოდელირების სახეები

კალორიმეტრულ სისტემაში მიმდინარე თბური პროცესების მათემატიკური მოდელირება შესაძლებელია გარკვეული გამარტივებების დაშვებით, რომელიც ეხება ამ სისტემის სახესა და თვისებებს. სისტემის სასაზღვრო და საწყისი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ტემპერატურული ველის დროში ცვლილების ანალიზური გამოსახულების მიღება.



სურათი 8. კალორიმეტრული სისტემის განზოგადებული მოდელი

ნახ. 8-ზე ნაჩვენებია კალორიმეტრული სისტემის განზოგადებული მოდელი. კალორიმეტრული სისტემა შედგება მრავალი სხეულისაგან, რომლებიც ერთმანეთს გარს აკრავს. გამოვყოთ ერთერთი ერთგვაროვანი სხეული, რომელიც აღინიშნება ინდექსით 1. მასში შეყურსულია სითბოს წყარო (სითბოს გამოყოფით ან შთანთქმით) - გამოსაკვლევი ეფექტი. თითოეულ სხეულს გააჩნია სითბოს წყარო $W(W_1, W_2, \dots, W_n)$, თერმომეტრი $T(T_1, T_2, \dots, T_n)$. ტემპერატურის ცვლილება აიწერება განტოლებით $\theta(U, F_0)$, $(\theta_1(U_1, F_{01}); \theta_2(U_2, F_{02}); \dots, \theta_n(U_n, F_{0n}))$, სადაც $U(U_1, U_2, \dots, U_n)$ გარკვეული ფუნქციაა, რომელიც დამოკიდებულია გარემო სხეულებთან თბოცვლის

პირობებზე, თბოფიზიკურ თვისებებზე და სხეულის გეომეტრიულ ფორმაზე; F_0 - ფურიეს კრიტერიუმი (განზოგადებული დრო). შესაბამისი თბური ნაკადები აღნიშნულია $Q(Q_1, Q_2, \dots, Q_n)$ [5].

კალორიმეტრული სისტემის განზოგადებული მოდელი იგება იმ დაშვებით, რომ შესასწავლი თბური ეფექტი W_1 ლოკალიზებულია სხეულში 1. სწორედ ეს თბური ეფექტი განსაზღვრავს სხეულებს შორის თბოცვლას. თერმომეტრები შეიძლება განლაგდეს ნებისმიერ n სხეულში. პრაქტიკულად კალორიმეტრები ისეა კონსტრუირებული, რომ სხეულთა სიტემა შემოსაზღვრება რიცხვით n , ანუ, სხეულები დაწყებული $(n+1)$ -დან არ ზემოქმედებენ კალორიმეტრული სისტემის დანარჩენ სხეულებზე.

უმრავლესი რეალური კალორიმეტრის მოდელი შეიძლება წარმოვიდგინოთ სისტემების სახით, რომლებიც ნაჩვენებია ნახ. 9-ზე. ყველა მოდელი შეიძლება შეიცავდეს თბური ენერჯის წყაროს (ან თბური ენერჯის არინების წყაროს), რომელიც მოთავსებულია მოცემული სისტემის ნებისმიერ სხეულში. ტემპერატურის საზომი ხელსაწყო მოთავსებულია ასევე ნებისმიერ სხეულში. სისტემა შედგება ერთ ბირთვისაგან - θ_1 , ან რამდენიმე შედგენილი ბირთვისაგან - θ_1 და θ_2 . ბირთვები გარედან დაცულია გარსაცმით T_i . გარსაცმსა და ბირთვს შორის არსებობს თბოცვლის გარემო. თბოცვლა ხდება თბოგამტარობით, კონვექციითა და გამოსხივებით. ამ სამივე სახის თბოცვლა ხასიათდება სრული თბოგაცემის α კოეფიციენტით. გარსაცმს აქვს მუდმივი ტემპერატურა T_i (იზოთერმული გარსაცმი), ან ცვალებადი ტემპერატურა (მაგალითად ადიაბატური გარსაცმი). მოდელირებული სხეულები შეიძლება იყოს გარკვეული ფორმის - სფერო ან შემოუსაზღვრელი ცილინდრი. ცალკეული სხეულის ტემპერატურული ველი აღიწერება განტოლებით $\theta(U, F_0)$, სადაც U არის გარკვეული ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია გარსაცმთან თბოცვლის პირობებზე, სხეულის თბოფიზიკურ თვისებებზე და მის გეომეტრიულ ფორმაზე. F_0 - ფურიეს კრიტერიუმი (განზოგადებული დრო).

მოდელი I წარმოადგენს ერთგვაროვანი სხეულის უმარტივეს შემთხვევას. სხეულში არ არსებობს ტემპერატურის გრადიენტი, და ყველა შემდგომი მომენტისათვის სხეულის ყველა წერტილში ტემპერატურა ერთნაირია. (ასეთი მოდელი გამოყენებული იყო ადრე და ახლაც გამოიყენება [2,3].


მოდელი II აღწერილია და შესწავლილია ა.ლიკოვის თბოგამტარობის თეორიის შრომებში. კალორიმეტრული სისტემის ბირთვი შეიძლება იყოს სითბოს წყაროთი აღჭურვილი, გარსაცმის ტემპერატურა შეიძლება იცვლებოდეს განსხვავებული კანონზომიერებით, ბირთვი შეიძლება წარმოადგენდეს სწორი ფორმის სხეულს - შემოუსაზღვრელი ფირფიტა, სფერო, შემოუსაზღვრელი ცილინდრი . ბირთვის ტემპერატურული ველი არის ბირთვის თბური თვისებების და გარსაცმთან თბოცვლის ფუნქცია [6].

მოდელი III წარმოადგენს ორი ბირთვისგან შედგენილ სხეულს. ტემპერატურის ცვლილება ხორციელდება გარსაცმთან თბოცვლის შედეგად. ეს შემთხვევა განხილულია გ.კონდრატიევის შრომებში [8].

მოდელი IV უფრო შეესაბამება არსებულ კალორიმეტრულ სისტემებს. მოდელის გული არის შედგენილი - ცენტრალური სხეული, რომელშიც მიმდინარეობს სითბოს გამოყოფა (ან შთანთქმა), ხასიათდება არათანაბარი ტემპერატურული ველით. მეორე სხეულში ადგილი არ აქვს ტემპერატურის გრადიენტს. ამ სხეულით ხდება თბოცვლა გარსაცმთან. გარსაცმის ტემპერატურა არის მუდმივი, ან იცვლება კანონზომიერებით [9,10].

მოდელ V-ს აქვს ორშედგენილიანი ბირთვი - ცენტრალური რომლის ტემპერატურა თანაბარია ნებისმიერ მომენტში და გარე სხეული თბოდაცავი გარსაცმი.

მოდელი VI. ყველაზე რთული მოდელია. მისი გამოყენება მოუხერხებელია რადგან ანალიზური გამოსახულებები გამარტივებული შემთხვევებისთვისაც კი რთული და დიდი ცდომილებების მქონეა [6].



სურათი 9. კალორიმეტრული სისტემების მოდელი

პრაქტიკულად კალორიმეტრიაში გამოყენებულია მე-4 და მე-5 მოდელები.

2.2. ტემპერატურული შესწორების ზოგადი ფორმულა

კალორიმეტრული სისტემის გარემოსთან თბოცვლა ამახინჯებს კალორიმეტრული სისტემის ტემპერატურული ველს. ეს იწვევს

გამოსაკვლევი თბური ეფექტით გამოწვეული ტემპერატურის ნაზრდის გაზომვის ცდომილებას.

კალორიმეტრული სისტემის თბური დანაკარგების წყაროებია: კალორიმეტრული ზედაპირის გარემოსთან თბოცვლა, თერმომეტრების და ნაპერწკლის ანთების წრედების გამომყვანების თბოგამტარობა. გარდა ამისა, სისტემის შიგნით შეიძლება მოქმედებდეს სითბოს მუდმივი ან ცვალებადი წყაროები, მაგალითად, წინაღობის თერმომეტრში გამავალი საზომი დენით გამოყოფილი სითბო, კალორიმეტრული სითხის შემრევის მიერ გამოყოფილი სითბო. სითბოს დანაკარგები შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე კალორიმეტრული სითხის აორთქლებით.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას კალორიმეტრულ სისტემაში მიმდინარე თბოცვლის პროცესები და გაკეთდეს ამ პროცესების შესაბამისი ტემპერატურული შესწორებები.

თბოცვლაზე ტემპერატურის შესწორება შეიძლება შეფასდეს შემდეგი გამოსახულებით:

$$\Delta t = \Delta t_1 + \Delta t_2 + \Delta t_3,$$

სადაც Δt_1 ითვალისწინებს შიგა დამატებითი სითბოს წყაროების სიმძლავრეს; Δt_2 ითვალისწინებს თბოცვლას გარემოსთან; Δt_3 ითვალისწინებს სითბოს სხვადასხვა დანაკარგებს, მაგალითად კალორიმეტრული სითხის აორთქლებით გამოწვეული სითბური დანაკარგები, თერმომეტრის თბოგამტარობით გამოწვეული სითბური დანაკარგები.

შესწორება სითბოს მუდმივი შიგა წყაროს არსებობის დროს - Δt_1 შეიძლება განისაზღვროს ანალიზურად. თუ შიგა სითბოს წყაროს სიმძლავრე დროის მიხედვით ცვალებადია, მაშინ საჭიროა ამ ცვლილების კანონზომიერების ცოდნა.

შესწორება გარემოსთან თბოცვლაზე - Δt_2 შეიძლება შეფასდეს თბოცვლის კოეფიციენტის საშუალებით, რომელიც ითვალისწინებს კონვექციას, თბოგამტარობას და გამოსხივებას.

კალორიმეტრული სითხის აორთქლება უნდა აღმოიფხვრას, რადგან მისი ანალიზური გზით შესწავლა რთულია. ყველა დანარჩენი ცდომილების წყაროების გავლენის გათვალისწინება შესაძლებელია შემასწორებელი კოეფიციენტით - Δt_3 .

2.3. ტემპერატურული შესწორებები თბოცვლის

პროცესზე

თუ კალორიმეტრულ სისტემაში მოქმედებს თბური ენერჯის მუდმივი წყარო, მაშინ გარემოში თბური dQ დანაკარგები $d\tau$ დროის განმავლობაში გამოითვლება ნიუტონის ფორმულით

$$dQ = \alpha \cdot S \cdot (\vartheta_s - t_\infty) \cdot d\tau,$$

სადაც ϑ_s არის კალორიმეტრის ზედაპირის ტემპერატურა; $t_\infty = t_i + \frac{\omega}{\alpha S}$ - ზღვრული ტემპერატურა; t_i - გარსაცმის ტემპერატურა; α - თბოგაცემის კოეფიციენტი; S - კალორიმეტრის ზედაპირის ფართობი. კალორიმეტრული სისტემის თბური დანაკარგები მთავარი პერიოდის ($\tau_f - \tau_i$) განმავლობაში გამოითვლება ამ განტოლების ინტეგრებით:

$$Q = \alpha \cdot S \cdot \int_{\tau_i}^{\tau_f} (\vartheta_s - t_\infty) d\tau \quad (2)$$

ამ შემთხვევაში მიღებულია, რომ თბოგაცემის კოეფიციენტი მუდმივია და სითხოს Q დანაკარგები იწვევს სისტემის ტემპერატურის ცვლილებას სიდიდით

$$\Delta t = \frac{Q}{H} \quad (3)$$

სადაც H - არის სისტემის თბური ეკვივალენტი.

(2) და (3) განტოლებებიდან მიიღება:

$$\Delta t = m \int_{\tau_i}^{\tau_f} \vartheta_s d\tau - m t_\infty (\tau_f - \tau_i) \quad (4)$$

სადაც $m = \frac{\alpha S}{H}$ არის სისტემის გაცივების ტემპი.

ტემპერატურის ცვლილება შეიძლება ასე ჩავწეროთ:

$$\Delta t = m(\bar{\mathcal{G}} - t_\infty)(\tau_f - \tau_i) \quad (5),$$

ამ გამოსახულებაში $\bar{\mathcal{G}}$ - არის მთვარ პერიოდში კალორიმეტრის საშუალო ტემპერატურა. იგი ტოლია

$$\bar{\mathcal{G}} = \frac{1}{(\tau_f - \tau_i)} \int_{\tau_i}^{\tau_f} \mathcal{G}_s d\tau. \quad (6)$$

ამრიგად თბოცვლაზე შესწორების გამოსათვლელად უნდა განისაზღვროს გაციების ტემპი, მთავარი პერიოდის საშუალო ტემპერატურა და ზღვრული ტემპერატურა.

გაციების ტემპი განისაზღვრება ექსპერიმენტული მონაცემებიდან:

$$m = \frac{g_i - g_f}{\mathcal{G}_f - \mathcal{G}_i},$$

სადაც

$$g_i = \left(\frac{\partial \mathcal{G}}{\partial \tau} \right)_i = m(t_\infty - \bar{\mathcal{G}}_i) \quad \text{და} \quad g_f = \left(\frac{\partial \mathcal{G}}{\partial \tau} \right)_f = m(t_\infty - \bar{\mathcal{G}}_f).$$

ამ განტოლებებიდან განისაზღვრული ზღვრული ტემპერატურა ტოლი იქნება

$$t_\infty = \bar{\mathcal{G}}_i + \frac{g_i}{m} = \bar{\mathcal{G}}_f + \frac{g_f}{m}.$$

მაშინ ტემპერატურის ცვლილებისთვის მივიღებთ

$$\Delta t = -[g_i + m(\bar{\mathcal{G}}_i - \bar{\mathcal{G}})](\tau_f - \tau_i) = -[g_f + m(\bar{\mathcal{G}}_f - \bar{\mathcal{G}})](\tau_f - \tau_i).$$

თბოცვლაზე ტემპერატურული შესწორების გამოსათვლელად არსებობს სხვადასხვა ავტორების მიერ რეკომენდებული როგორც ზუსტი ასევე მიახლოებითი მეთოდები [2,11,12,13,14,15]. პრაქტიკულად ყველა მეთოდი ეყრდნობა ზემოთ მოყვანილ განტოლებას, რომელშიც მთავარ პერიოდში საშუალო ტემპერატურა $\bar{\mathcal{G}}$ განისაზღვრება ამა თუ იმ განსხვავებული მეთოდით, გრაფიკულად ან ანალიზურად.


2.4. ტემპერატურული შესწორების რენიუ-ფაუნდლერის ფორმულა

ზუსტ კალორიმეტრულ ცდებში თბოცვლაზე შესწორების გამოსათვლელად ყველაზე ხშირად გამოიყენება ტრაპეციის მეთოდი, რომლის მიხედვითაც (6) განტოლებაში $\int_{\tau_i}^{\tau_f} \vartheta_s d\tau$ შეცვლილია ტრაპეციების ფართობების ჯამით.

სურათ 10-ზე გამოსახულია დამოკიდებულება $\vartheta = \vartheta(\tau)$ მთავარი პერიოდისათვის, სადაც მრუდის ქვეშ მოთავსებული ფართი დაყოფილია $n-1$ ნაწილად. ამ ნახაზის შესაბამისად:

$$\int_{\tau_i}^{\tau_f} \vartheta d\tau \approx \frac{1}{2}(\vartheta_1 + \vartheta_2) + \frac{1}{2}(\vartheta_2 + \vartheta_3) + \dots + \frac{1}{2}(\vartheta_{n-1} + \vartheta_n) = \frac{1}{2}(\vartheta_1 + \vartheta_n) + \sum_{r=2}^{n-1} \vartheta_r$$

სადაც n - არის ანათვლების რიცხვი მთავარ პერიოდში.



სურათი 10. თბოცვლაზე შესწორების გამოთვლა ტრაპეციის მეთოდით

ასეთ შემთხვევაში საშუალო ტემპერატურის გამოსათვლელი ფორმულა მიიღებს სახეს:

$$\bar{\vartheta} = \frac{1}{n-1} \int_{\tau_i}^{\tau_f} \vartheta d\tau = \frac{1}{n-1} \left[\frac{1}{2}(\vartheta_1 + \vartheta_n) + \sum_{r=2}^{n-1} \vartheta_r \right].$$

აქედან გამომდინარე

$$\Delta t = m \left[\frac{1}{2}(\vartheta_1 + \vartheta_n) + \sum_{r=2}^{n-1} \vartheta_r - (n-1)\bar{\vartheta}_i \right] - (n-1)g_i,$$

ან

$$\Delta t = m \left[\frac{1}{2}(\vartheta_1 + \vartheta_n) + \sum_{r=2}^{n-1} \vartheta_r - (n-1)\bar{\vartheta}_f \right] - (n-1)g_f,$$

სადაც გაცივების ტემპს აქვს განზომილება $(\partial\tau)^{-1}$, ტემპერატურის ცვლილების სიჩქარე $g -^{\circ} C/\partial\tau$. დროის ინერვალად ხშირად აღებულია 15; 30 ან 60 წმ [5].

2.5. თბოცვლაზე შესწორებების განსაზღვრის

გამარტივებული მეთოდი

თბოცვლაზე შესწორებების გამოთვლა რენიუ-ფაუნდლერის ფორმულით რთულია, ამიტომ შედარებით ნაკლები სიზუსტით გაზომვებისას სარგებლობენ გამარტივებული მეთოდებით. რენიუ-ფაუნდლერის ფორმულით განსაზღვრული შესწორების ცდომილება განპირობებულია მთავარი პერიოდის საშუალო ტემპერატურის განსაზღვრის ცდომილებით. ტექნიკური გაზომვებისას (მაგალითად სათბობის თბოუნარიანობის გაზომვა) შეიძლება დაუვშვათ, რომ მთავარ პერიოდში ტემპერატურულ მრუდს აქვს სახე $\vartheta = \vartheta_f - (\vartheta_f - \vartheta_i) \exp(-\chi\tau)$, სადაც ϑ_i და ϑ_f მთავარი პერიოდის პირველი და საბოლოო ანათვალია, χ ექსპონენტის მაჩვენებელია. ვინაიდან $\tau = \tau_f$ მომენტს შეესაბამება საბოლოო ანათვალი $\vartheta = \vartheta_f$, ამიტომ გვექნება $\exp(-\chi\tau_f) \approx 0$, და ცდის საშუალო ტემპერატურა განისაზღვრება ფორმულით

$$\bar{\vartheta} = \vartheta_f + \frac{\vartheta_f - \vartheta_i}{\chi(\tau_f - \tau_i)} [\exp(-\chi\tau_f) - \exp(-\chi\tau_i)].$$

თუ მთავარი პერიოდის დასაწყისად მივიღებთ $\tau_i = 0$, მივიღებთ:

$$\bar{\vartheta} = \vartheta_f + \frac{\vartheta_f - \vartheta_i}{\chi\tau_f}$$

$$\vartheta_f - \vartheta_i = \bar{\vartheta}_f - \bar{\vartheta}_i$$

ამიტომ

$$\Delta t = -\frac{m}{\chi}(\vartheta_f - \vartheta_i) - g_f\tau_f = -g_i\tau_m - g_f(\tau_f - \tau_m),$$

τ_m -არის დრო, რომელიც შეესაბამება მთავარი პერიოდის საშუალო ტემპერატურას. იგი ტოლია

$$\tau_m = \chi^{-1}.$$

მთავარი პერიოდის საშუალო ტემპერატურა შეიძლება განისაზღვროს ფორმულით

$$\bar{\vartheta} - \vartheta_i = 0.63(\vartheta_f - \vartheta_i) [4].$$

ნახაზ 11-ზე ნაჩვენებია ტემპერატურის მრუდი $\vartheta(\tau)$, რომელიც შეესაბამება შემთხვევას, როცა $\vartheta(\tau) < t_\infty$. დავუშვათ, საწყისი პერიოდის ტემპერატურის ცვლილების სიჩქარეა g_i , ხოლო საბოლოო პერიოდის სიჩქარე - g_f , მთავარი პერიოდის პირველ ნაწილში ანათვლების რიცხვია k , ხოლო მეორე ნაწილში r . მაშინ შესწორება ტოლი იქნება

$$\Delta t_1 = -\frac{1}{2}(g_f + g_i)k,$$

იგი გრაფიკულად შეესაბამება MN მონაკვეთს.

$$\Delta t_{21} = -g_f r,$$


რომელიც გრაფიკულად შეესაბამება DF მონაკვეთს.

მთლიანი შესწორება ტოლია

$$\Delta t = \Delta t_1 + \Delta t_2 = -\left[\frac{1}{2}(g_f + g_i)k + g_f r \right]$$

იგი გრაფიკულად შეესაბამება $DF+MN$ მონაკვეთს. მაშინ ტემპერატურის ნაზრდი მთავარ პერიოდში, რომელიც გამოწვეულია თბოცვლით გამოისახება მონაკვეთით $MD-(MN+DF)=NF$.

კალორიმეტრული ცდა მოიცავს საწყის, მთავარ და საბოლოო პერიოდებს. ნახაზ 11-ზე. ნაჩვენებია თბოცვლაზე ტემპერატურული შესწორების გრაფიკული გამოსახულება.



ნახაზი 11. ტემპერატურული მრუდი და გრაფიკული შესწორება თბოცვლაზე

საწყის პერიოდში (სათბობის დაწყების განხორციელებამდე პერიოდი $t_0 - t_i$) ტემპერატურა იცვლება პრაქტიკულად წრფივად - $A - A$ წრფე, რაც გამოწვეულია გარემოსთან თბოცვლით და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებით: ელექტრო ნაპერწკლით ანთების მკვებავი წრედის მავთულების და მინის თერმომეტრის ღეროს თბოგამტარობის პროცესით, წინაღობის თერმომეტრში გამავალი საზომი დენით გამოყოფილი სითბოთი, კალორიმეტრული სითხის სარევალას მუშაობით გამოყოფილი სითბოთი და სხვა.

t_i - მომენტი შეესაბამება კალორიმეტრულ ყუმბარაში ნაპერწკლის მიწოდებას და სათბობის წვის პროცესის დასაწყისს, ანუ მთავარი პერიოდის დასაწყისს. მთავარ პერიოდში - $\tau_i - \tau_f$ ტემპერატურის ცვლილება გამოისახება ექსპონენტის ფორმულით (AE) მრუდი. მთავარი პერიოდის განმავლობაში ადგილი აქვს ტემპერატურის გათანაბრებას და τ_f მომენტიდან იწყება საბოლოო პერიოდი (E წერტილიდან), რომელიც ასევე წარმოადგენს წრფეს. მთავარი პერიოდის საშუალო ტემპერატურა გამოითვლება ფორმულით:

$$\bar{g} = g_i + 0.63 \cdot (g_f - g_i) .$$

საწყისი პერიოდის ტემპერატურის ცვლილების ექსტრაპოლაცია AN მთავარი პერიოდის საშუალო ტემპერატურამდე იძლევა ტემპერატურის მონაკვეთს NM, ასევე საბოლოო პერიოდის ტემპერატურის ცვლილების ექსტრაპოლაცია EF მთავარი პერიოდის საშუალო ტემპერატურამდე იძლევა ტემპერატურის მონაკვეთს DF. ტემპერატურის შესწორება კალორიმეტრულ ცდაში იქნება მომაკვეთების ჯამი NM+DF. ხოლო ტემპერატურის სხვაობა, რომელიც შეესაბამება კალორიმეტრში სათბობის დაწვით გამოწვეულ მნიშვნელობას იქნება FN= DM- (NM+DF). შესწორება თბოცვლაზე პირველად მიღებული იქნა დიკინსონის მიერ [16].

ამრიგად კალორიმეტრული ცდის ტემპერატურული მრუდები არის სამი განსხვავებული სახის. ორი მათგანი გარკვეული მიახლოებით წარმოადგენს ტემპერატურის დროის მიხედვით ცვლილების წრფეებს, რაც განპირობებულია კალორიმეტრის თბოცვლით გარემოსთან, ხოლო მესამე მრუდი წარმოადგენს სხვადასხვა ექსპონენტების ჯამს, რაც ძირითადად განპირობებულია გამოსაკვლევი თბური პროცესით [9,10].

თავი 3. კალორიმეტრიაში გამოყენებული სანიმუშო

ნივთიერებები

კალორიმეტრიაში გამოყენებული სანიმუშო ნივთიერებები დანიშნულების მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად. პირველი ჯგუფის სანიმუშო ნივთიერებები წარმოადგენს საითბოს რაოდენობის საზომს და გამოიყენება კალორიმეტრების დასაგრადუირებლად (თბული ექვივალენტის დასადგენად). მეორე ჯგუფის სანიმუშო ნივთიერებები გამოიყენება ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის და მისი დასრულების კონტროლისთვის. მესამე ჯგუფის სანიმუშო ნივთიერებები გამოიყენება კალორიმეტრული სისტემების კონტროლისთვის და გამოურიცხავი სისტემატური ცდომილებების გავლენის დასადგენად [5].

კალორიმეტრიაში გამოყენებული სანიმუშო ნივთიერებები უნდა აკმაყოფილებდეს მკაცრ მოთხოვნებს. კერძოდ, ისინი იოლად უნდა ექვემდებარებოდნენ მინარევებისაგან გაწმენდას, ხასიათდებოდნენ დაბალი ჰიგროსკოპულობით და აქროლადობით. მყარ სანიმუშო ნივთიერებებს არ უნდა ახასიათებდეს რამდენიმე კრისტალური მდგომარეობა საკვლევი ტემპერატურის დიაპაზონში, უნდა იყოს მაღალი დონის სისუფთავის.

კალორიმეტრის კალიბრებისათვის გამოიყენება პირველი თანრიგის სანიმუშო ნივთიერებები, რომელთა თბოუნარიანობა გაზომილია მრავალი ავტორის მიერ პრეციზიული კალორიმეტრების გამოყენებით. სანიმუშო ნივთიერებებით განისაზღვრება კალორიმეტრის თბური ექვივალენტი და ფართო მასშტაბიანი კვლევების დროს ხდება მათი კალიბრება.

სანიმუშო ნივთიერებები უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალურ მოთხოვნებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ნივთიერების სისუფთავე და ქიმიურად მდგრადობა. რამდენიმე ათეული წლის განავლობაში მრავალი ქვეყნის ავტორი იკვლევდა სხვადასხვა ნივთიერებებს აღნიშნული დანიშნულებისათვის. ამჟამად კალორიმეტრიაში მიღებულია სათბობის თბოუნარიანობის გასაზომად მოწყობილობების კალიბრებისათვის ბენზოინის მჟავა და იანტარის მჟავა.

3.1. ბენზოინის მჟავა

ორგანული ნაერთების (სათბობის) თბოუნარიანობის გასაზომი კალორიმეტრული სისტემის კალიბრებისთვის (კალორიმეტრული სისტემის თბური ექვივალენტის დასადგენად) 1922 წლის ლიონის საერთაშორისო ქიმიურ კონფერენციაზე რეკომენდირებულ იქნა სანიმუშო ნივთიერება - ბენზოინის მჟავა [2]. მუდმივმოქმედი თერმოქიმიურმა კომისიამ, რომელიც არჩეული იქნა ამ კონფერენციაზე თავის ცნობაში 1934 წელს რეკომენდაცია გაუწია ბენზოინის მჟავას ნივთიერებათა თბოუნარიანობის გაზომვისათვის გამოყენებას. ნივთიერებები უნდა შეიცავდეს ერთდროულად ნახშირბადს, წყალბადს და ჟანგბადს, ან ნახშირბადს, წყალბადს, ჟანგბადს და გოგირდს [17,18]. რუსეთში ბენზოინის მჟავა დამტკიცებულია, როგორც სანიმუშო ნივთიერება სათბობის თბოუნარიანობის გასაზომად 1926 წელს [19].

ბენზოინის მჟავას ძირითადი ფიზიკა-ქიმიური თვისებები შემდეგია. ჰორმალური ყუმბარიანი კალორიმეტრის პირობებისათვის ბენზოინის მჟავას თბოუნარიანობა 1934-1968 წლების გაზომვების მიხედვით ტოლია $26434,1 \pm 0,8$ კჯ/კგ. მჟავის სისუფთავე დადგინდა სხვადასხვა მეთოდებით: კრიოეკოპური მეთოდით (გამყარების ტემპერატურის დადაბლების მიხედვით) [20]; მჟავის დაწვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგის შემცველობით [21]; ტიტრირებით [22]; კულონომეტრული ტიტრირებით [22] და სხვა მეთოდებით. ჩამოთვლილი მეთოდების უმრავლესობა საშუალებას იძლევა ბენზოინის მჟავაში მინარევების განსაზღვრის არსებობის გაზომვა ხდებოდა რამდენიმე მეათესადი პროცენტის ცდომილებით. ნაშრომებში [20,23,24] გამოკვლეულია ბენზოინის მჟავას სტაბილურობის საკითხები. მჟავის დაშლა მიმდინარეობს 150°C -ზე მაღალ ტემპერატურებზე [25]. ბენზოინის მჟავას აქროლადობის პროცესი შესწავლილია $29-30^{\circ}\text{C}$ -ზე. სამი კვირის განმავლობაში აქროლადობის ფარდობითი სიდიდემ შეადგინა 0,01% დღეში. მჟავის დაწვის სისრულე

დამოკიდებულია ნიმუშის ფორმაზე, მასაზე და ტიგელში მის მდებარეობაზე [21,26].

სხვადასხვა ლაბორატორიებში გაზომილი ბენზოინის მჟავას თბოუნარიანობის ერთმანეთთან შესადარებლად საჭიროა გაზომვის შედეგები მივიყვანოთ კალორიმეტრული ცდის ნორმალურ პირობებამდე . ეს პირობები შემდეგია [17]:

1. ცდის შედეგები დაიყვანება 25 °C -ზე;
2. ნიმუში იწვევა მუდმივი მოცულობის კალორიმეტრულ ყუმბარაში სუფთა ჟანგბადის გარემოში 25°C საწყისი ტემპერატურის და 30 ბარი წნევის პირობებში;
3. ნიმუშის მასის (გრამებში) შეფარდება ყუმბარის შიგა მოცულობასთან (დმ³) 3-ის ტოლია.
4. ყუმბარაში წინასწარ ჩასხმული წყლის მასის (გრამებში) შეფარდება ყუმბარის შიგა მოცულობასთან (დმ³) 3-ის ტოლია.

როცა ბენზოინის მჟავის დაწვის პროცესი, ნორმალური პირობებიდან გადახრილია მაშინ თბოუნარიანობის მიღებული მნიშვნელობის (კჯ/კგ) გადასაყვანად ნორმალურ პირობებზე უნდა გამოვიყენოთ მამრავლი კოეფიციენტი:

$$f = 1 + 10^{-6} \cdot [20 \cdot (p - 30) + 42 \cdot \left(\frac{m_b}{V} - 3\right) + 30 \cdot \left(\frac{m_w}{V} - 3\right) - 45 \cdot (t - 25)]$$

სადაც p არის ჟანგბადის საწყისი წნევა t ტემპერატურაზე (რომელ ტემპერატურასაც მიეკუთვნება თბოუნარიანობის მნიშვნელობა), ატმ; m_b ბენზოინის მჟავას მასა გრამებში; m_w - ყუმბარაში ჩასხმული წყლის მასა, გრამებში; V - ყუმბარის შიგა მოცულობა, დმ³. ფორმულა სამართლიანია

თუ შესრულებულია შემდეგი უტოლობები: $20 < p < 40$ ატმ; $2 < \frac{m_b}{V} < 4$ გ/დმ³; $2 < \frac{m_w}{V} < 7$ გ/დმ³; $20 < t < 30$ °C

1922 წლის ლიონის საერთაშორისო ქიმიურ კონფერენციაზე სანიმუშო ნივთიერების - ბენზოინის მჟავას თბოუნარიანობისათვის

რეკომენდირებულ იქნა მნიშვნელობა - 26434 ჯოული გ მასასზე, რომელიც განსაზღვრულია იზოთერმული პირობებში 20⁰C ტემპერატურაზე, და ამასთანავე, ნიმუშის მასა განსაზღვრულია ვაკუუმში [2].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბენზოინის მჟავა გამოყენებულია სანიმუშო ნივთიერებად როგორც სათბობის წვის კალორიმეტრიაში, ასევე დაბალტემპერატურულ უბანში სითბოტევადობის გასაზომად.

3.2. იანტარის მჟავა

იანტარის მჟავა წარმოადგენს თბოუნარიანობის გასაზომად მეორე ჯგუფის სანიმუშო ნივთიერებას იმ შემთხვევისთვის, როცა სათბობი შეიცავს ნახშირბადს, წყალნადს, ჟანგბადს და აზოტს. ასეთი სანიმუშო ნივთიერების შექმნის წინადადება წამოყენებული იყო მუდმივი თერმოქიმიური კომისიის მიერ ჯერ კიდევ 1934 წელს. კვლევები ამ მიმართულებით ჩატარებული იქნა მრავალი ავტორის მიერ. ამ კვლევების საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება წვის კალორიმეტრიაში იანტარის მჟავას სანიმუშო ნივთიერებად აღიარების შესახებ. შემდეგ წლებში გრძელდებოდა კვლევები. ამჟამად იანტარის მჟავას წვის სითბოს მნიშვნელობა სტანდარტული თერმოდინამიკური პირობებისათვის მიღებულია მნიშვნელობა $12634,6 \pm 2.2$ კჯ/კგ [27,28,29,30,31,32].

კვლევის ამოცანები

ლიტერატურული მიმოხილვის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა და ამოცანების დასახვა:


- ტყიბულ-შაორის ქვანახშირის ენერგეტიკულ სათბობად გამოყენების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს სხვადასვა ნიშნულის ნიმუშების თბოუნარიანობის ექსპერიმენტული გამოკვლევა, ამდენად დასმული ამოცანა აქტუალურია;
- საკითხის გადაწყვეტა გულისხმობს შესაბამისი პრეციზიული კალორიმეტრული სისტემის (პრეციზიული კალორიმეტრული ყუმბარა შესაბამისი სისტემით, მაღალი წნევის ჟანგაბდის სისტემა, პრეციზიული სასწორი - სიზუსტით 0,001 გ, ეფექტური და პრეციზიული საშრობი და სხვა) გამოყენებას.
- კალორიმეტრული გაზომვების მეთოდის დამუშავება;
- პრეციზიული კალორიმეტრული გაზომვის ვირტუალური ამოცანის შექმნა;
- ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს სხვადასვა ნიშნულების ნიმუშების თბოუნარიანობის გამოკვლევა;
- სასაწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიული ამოცანის შექმნა.

თავი 4. ექსპერიმენტული ნაწილი

4.1. ექსპერიმენტული დანადგარი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამუშაოს მიზანია ტყიბულ-შაორის ქვანახშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თბოტექნიკური მახასიათებლის – თბოუნარიანობის ექსპერიმენტული გამოკვლევა. გამოკვლევებისთვის გამოყენებულ იქნა კალორიმეტრული მეთოდი. გაზომვები ჩატარდა კალორიმეტრულ ხელსაწყოზე XRY-1C.

კალორიმეტრული ხელსაწყო XRY-1C წარმოადგენს იზოთერმულ კალორიმეტრს, რომელიც გამოიყენება თხევადი და მყარი ნივთიერებების




სურათი 12. პრეცეიზიული კალორიმეტრი XRY-1C

თბოუნარიანობის განსასაზღვრად (სურათი 12). მისი სიზუსტე ქარხნული მონაცემებით შეადგენს 0,4%-ს.

კალორიმეტრის სქემა მოცემულია სურათ 13-ზე. იგი შედგება კალორიმეტრული ჭურჭლისგან (3), რომელიც მოთავსებულია კალორიმეტრულ გარსაცმში (4). კალორიმეტრული გარსაცმი წარმოადგენს წყლიან ჭურჭელს და უზრუნველყოფს კალორიმეტრული ჭურჭლის გარემოსგან თბოიზოლირებას. გამოსაკვლევი ნიმუში მოთავსებულია სპეციალურ ტიგელში (1), რომელიც თავის მხრივ მოთავსებულია მაღალი

წნევის კონტეინერში (2). წვისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით



სურათი 13. კალორიმეტრ XRY-1C-ის სქემა. 1-ტიგელი ნიმუშით, 2. კონტეინერი მაღალი წნევის ჟანგბადით, 3-კალორიმეტრული ჭურჭელი, 4-კალორიმეტრული გარსაცმი, 5-სითხის შემრევი, 6-თერმომეტრი, 7-სადენები.

კონტეინერი შევსებულია 25 ატმოსფერული წნევის მქონე ჟანგბადით. ეს კონტეინერი მოთავსებულია გამოხდილი წყლით შევსებულ კალორიმეტრულ ჭურჭელში (3). იმისთვის, რომ ცდის დროს ტემპერატურა წყლის მთელ მოცულობაში იყოს ერთნაირი, ხდება წყლის შერევა სპეციალური შემრევით კონტეინერი მოთავსებულია გამოხდილი წყლით შევსებულ კალორიმეტრულ ჭურჭელში (3). იმისთვის რომ ცდის დროს ტემპერატურა წყლის მთელ მოცულობაში იყოს ერთნაირი, ხდება წყლის შერევა სპეციალური შემრევით (5). კომპიუტერული მართვის პროგრამა თერმომეტრიდან (6) მიღებული მონაცემების საფუძველზე სადენების (7) საშუალებით რთავს ელექტრულ წრედს, რაც ნიმუშთან წარმოქმნის ნაპერწკალს. ნაპერწკალი იწვევს საკვლევი ნიმუშის დაწვას. საკვლევი ნიმუშის დაწვის შედეგად გამოყოფილი სითბო გადაეცემა კალორიმეტრულ ჭურჭელში მოთავსებულ გამოხდილ წყალს. გამოხდილი

წყლის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობის განსაზღვრით დგინდება საკვლევი ნიმუშის თბოუნარიანობა.



სურათი 14. მაღალი წნევის კონტეინერი




სურათი 15. მაღალი წნევის კონტეინერის ანგადათ შევსების სისტემა

სურათ 14-ზე ნაჩვენებია მაღალი წნევის კონტეინერი, რომელიც გაზომვების დროს ივსება 25 ატმოსფერული წნევის ჟანგბადით, და,

რომელშიც ხდება ნიმუშის წვა, ხოლო სურათ 15-ზე ნაჩვენებია მაღალი წნევის კონტეინერის ჟანგბადით შევსების სისტემა.

გაზომვის მეთოდიკა შემდეგში მდგომარეობს: კალორიმეტრში სტაციონარული ტემპერატურული რეჟიმის დამყარების შემდეგ, რომლის დროსაც ტემპერატურის ცვლილება ერთ წუთში არ აღემატება 0,001 გრადუსს, მართვის პროგრამა ხელსაწყოს გადაიყვანს გაზომვის რეჟიმში. მოხდება ნიმუშის დაწვა. წვისას გამოყოფილი სითბოს გავლენით კალორიმეტრულ ჭურჭელში მოთავსებული გამოხდილი წყლის ტემპერატურა იწყებს ზრდას. ტემპერატურის მაქსიმალური მნიშვნელობის მიღწევის შემდეგ ფიქსირდება გამოხდილი წყლის მაქსიმალურ, ანუ საბოლოო და ბაზურ, ანუ საწყის მნიშვნელობებს შორის სხვაობა [33,34].



სურათი 16. კალორიმეტრული სისტემის ტემპერატურის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. 1 - ექსპერიმენტის საწყისი მომენტის შესაბამისი წერტილი, 2 - ექსპერიმენტის საბოლოო მომენტის შესაბამისი წერტილი

სურათ 16-ზე მოცემულია კალორიმეტრული სისტემის მიმდინარე და საწყის ტემპერატურებს შორის ΔT სხვაობის დროის მიხედვით ცვლილების ტიპური გრაფიკი. წერტილი 1 შეესაბამება ტემპერატურის სხვაობას ექსპერიმენტის საწყის, ხოლო წერტილი 2 - ექსპერიმენტის საბოლოო მომენტში.

კალორიმეტრული სისტემის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა, და შესაბამისად, საკვლევი ნიმუშის თბოუნარიანობა – Q გამოითვლება ფორმულით

$$Q=H\cdot\Delta T \quad (1)$$

სადაც H არის კალორიმეტრული სისტემის ჯამური სითბოტევადობა, ΔT - სისტემის საბოლოო და საწყის ტემპერატურათა შორის სხვაობა.

თბოუნარიანობის გამოსათვლელი (1) ფორმულა გულისხმობს, რომ ნიმუშის წვის შედეგად გამოყოფილი სითბო მთლიანად ხმარდება კალორიმეტრული სისტემის თბოშემცველობის გაზრდას. რეალურად კალორიმეტრი აბსოლუტურად თბოიზოლირებული არ არის. მაგალითად, გამოხდილი წყლის შემრევის ზედა ნაწილი, ისევე, როგორც თერმომეტრის ზედა ნაწილი, კალორიმეტრის გარეთაა, ქვედა ნაწილი, კი კალორიმეტრულ ჭურჭელში. ეს იწვევს კალორიმეტრული სისტემის ტემპერატურული ველის დამახინჯებას, და აქედან გამომდინარე, მისი ჯამური სითბოტევადობის განუზღვრელობას.

4.2. კალორიმეტრის კალიბრება

კონკრეტული კალორიმეტრული სისტემისთვის ჯამური სითბოტევადობის, ანუ თბური ექვივალენტის განსაზღვრა შესაძლებელია კალორიმეტრის კალიბრებით [36]. არსებობს კალიბრების ორი მეთოდი – აბსოლუტური და ფარდობითი. აბსოლუტური მეთოდის შემთხვევაში სითბო გამოიყოფა კალორიმეტრში მოთავსებულ წინააღმდეგობაზე და მისი რაოდენობა განისაზღვრება წინააღმდეგობაში გამავალი დენისა და მასზე მოდებული ძაბვის საშუალებით. ფარდობითი მეთოდის შემთხვევაში თბოუნარიანობის განსაზღვრის ექსპერიმენტი ტარდება ცნობილი თბოუნარიანობის მქონე სანიმუშო ნივთიერებაზე. ორივე შემთხვევაში H პარამეტრის მნიშვნელობა განისაზღვრება (1) ფორმულის საშუალებით. ფარდობითი მეთოდის გამოყენება ექსპერიმენტის ჩატარების თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელია. ამასთანავე, იგი უზრუნველყოფს

გაზომვების მაღალ სიზუსტეს. ჩვენს კვლევებში არჩევანი სწორედ კალიბრების ფარდობით მეთოდზე შევაჩერეთ.

კალორიმეტრიაში გამოყენებული სანიმუშო ნივთიერება იოლად უნდა ექვემდებარებოდეს მინარევებისაგან გაწმენდას, ხასიათდებოდეს ნაკლები ჰიგროსკოპიულობით და დაბალი აქროლადობით. მყარ სანიმუშო ნივთიერებებს არ უნდა ახასიათებდეს რამოდენიმე კრისტალური მდგომარეობა საკვლევი ტემპერატურის დიაპაზონში.

1922 წელს ლიონში საერთაშორისო ქიმიურ კონფერენციაზე ორგანული ნაერთების (სათბობის) თბოუნარიანობის გასაზომად (კალორიმეტრული სისტემის თბური ეკვივალენტის დასადგენად) რეკომენდირებული იქნა სანიმუშო ნივთიერება - ბენზონის მჟავა. იგი წარმოადგენს პირველი გვარის სანიმუშო ნივთიერებას [5].

ძირითად სანიმუშო ნივთიერებას წაეყენება მაღალი მოთხოვნები მისი სისუფთავის მიმართ. მაგალითად, უმაღლესი თანრიგის სანიმუშო ნივთიერება - ბენზონის მჟავა უნდა შეიცავდეს 99,992% ძირითად ნივთიერებას. ასეთი სისუფთავის ნივთიერების მიღება დიდ სიმძნელებთან, და შესაბამისად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შედარებით დაბალი სიზუსტის კვლევების ჩასატარებლად, რომელსაც კალორიმეტრული კვლევებიც მიეკუთვნება, შესაძლებელია უფრო დაბალი სისუფთავის ბენზონის მჟავას გამოყენება. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება ამ ნივთიერების თბოუნარიანობის გამოკვლევა და სანიმუშო ნივთიერებად ატესტაცია.

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სამუშაო შედარებით დაბალი სიზუსტის სანიმუშო ნივთიერების (სტუ-1) შესაქმნელად. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა რუმინული წარმომავლობის ("STANCHEM") ბენზონის მჟავა (C_6H_5COOH) რომელიც ხარისხის სერთიფიკატის მიხედვით შეიცავს 99,24% ძირითად ნივთიერებას, 0,03% ტენს, 10 მლგ/კგ-ზე ნაკლებ მძიმე ლითონებს, 0,2%-ზე ნაკლებ ფტალურ ანჰიდრიდს, 0,03% სულფოზოლს. მისი დნობის ტემპერატურაა 121,7°C. სანიმუშო ნივთიერების ატესტაციისას

კალორიმეტრის თბური ექვივალენტი განსაზღვრულ იქნა მაღალი სისუფთავის (99,992%) ბენზოინის მჟავას გამოყენებით, რომლის თბოუნარიანობა სერტიფიკატის მიხედვით ტოლია 26466 ჯ/გ-ს [5].

ცხრილი 3

ბენზოინის მჟავას ატესტაციის შედეგები პირველი ჯგუფისთვის

i	თბოუნარიანობა	თბოუნარიანობის საშუალო მნიშვნელობა	თბოუნარიანობის მნიშვნელობის გადახრა	თბოუნარიანობის მნიშვნელობის გადახრის კვადრატი	პირველი ჯგუფის გაზომვის დისპერსია,	პირველი ჯგუფის გაზომვის სტანდარტული გადახრა,	საშუალო არითმეტიკული სიდიდის დისპერსია	საშუალო არითმეტიკული სიდიდის სტანდარტული გადახრა
	q_i	\bar{q}	$\delta_i = q_i - \bar{q}$	δ_i^2	S^2	S		
	ჯ/გ	ჯ/გ	ჯ/გ	ჯ ² /გ ²	ჯ ² /გ ²	ჯ/გ	ჯ/გ	ჯ/გ
1	26550,65	26358,54	192,11	36904,64	167563,00	±409,60	23932,60	±154,72
2	26446,57		88,03	7749,28				
3	26348,03		-10,51	110,46				
4	26205,09		-153,45	23546,90				
5	26230,07		-128,47	16504,54				
6	26076,03		-282,51	79811,90				
7	26653,36		294,82	86918,83				

სტუ-1-ის ატესტაციისათვის პრეციზიულ კალორიმეტრზე ჩატარდა 12 ნიმუშის (10 მმ სიმაღლის და 10 მმ დიამეტრის ცილინდრული ტაბლეტები) თბოუნარიანობის გამოკვლევა მაღალი წნევის ჟანგბადის გარემოში. ექსპერიმენტის შედეგები (12 ცდა) დაყოფილია ორ ჯგუფად გაზომვების დროითი ნიშნის მიხედვით. ცხრილ 3-ში და ცხრილ 4-ში მოცემულია შესაბამისად პირველი და მეორე ჯგუფების მონაცემები და ცდის შედეგების დამუშავების ინფორმაცია [37].

დაკვირვებათა მწკრივში უხეში შეცდომების არსებობის შესამოწმებლად განისაზღვრა სტიუდენტის კოეფიციენტი - $t_{\max} = \frac{|q_i - \bar{q}|}{S}$.

პირველი გუფისთვის მოცემული სიდიდის მნიშვნელობამ შეადგინა $t_{\max}=0,7202$, ხოლო მეორე ჯგუფისთვის - $t_{\max}=1,2584$. $\alpha=0,95$ სარწმუნო

ალბათობისა და $k_1=7-1=6$ თავისუფლების ხარისხის პირობებში (პირველი ჯგუფისთვის) სტიუდენტის კოეფიციენტის მნიშვნელობა ტოლია $t_{(0,95;6)}=2,45$, ხოლო იგივე სარწმუნო ალბათობისა და $k_2=5-1=4$ თავისუფლების ხარისხის პირობებში (მეორე ჯგუფისთვის) სტიუდენტის კოეფიციენტის მნიშვნელობა ტოლია $t_{(0,95;5)}=2,78$. გაზომვების ორივე ჯგუფისთვის შესრულებულია პირობა - $t_{\max} < t$, რაც იმაზე მიუთითებს, რომ როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის მონაცემები არ შეიცავს უხეშ შეცდომას [5].

ცხრილი 4

ბენზოინის ჟავას ატესტაციის შედეგები მეორე ჯგუფისთვის

i	თბოუნარიანობა	თბოუნარიანობის საშუალო მნიშვნელობა	თბოუნარიანობის მნიშვნელობის გადახრა	თბოუნარიანობის მნიშვნელობის გადახრის კვადრეტი	მეორე ჯგუფის გაზომვის დისპერსია,	მეორე ჯგუფის გაზომვის სტანდარტული გადახრა,	საშუალო არითმეტიკული სიდიდის დისპერსია	საშუალო არითმეტიკული სიდიდის სტანდარტული გადახრა
	q_i	\bar{q}	$\delta_i = q_i - \bar{q}$	δ_i^2	S^2	S		
	ჯ/გ	ჯ/გ	ჯ/გ	ჯ ² /გ ²	ჯ ² /გ ²	ჯ/გ	ჯ/გ	ჯ/გ
1	26373,01	26546,49	-173,48	30095,31	33512,64	±183,07	6702,53	±81,87
2	26756,04		209,55	43911,20				
3	26463,22		-83,27	6933,89				
4	26776,85		230,36	53065,73				
5	26363,32		-183,17	33551,25				

საშუალო არითმეტიკული სიდიდის გაზომვის ზღვრული ცდომილება პირველი ჯგუფისთვის ტოლია $\Delta_1=2,45 \cdot 154,72=379,06$ ჯ/გ. ანუ, თბოუნარიანობის ცვლილების ინტერვალია $25979,48 \div 26737,60$ ჯ/გ. პირველი ჯგუფისთვის საბოლოო შედეგი ზღვრული ცდომილების მიხედვით ტოლი იქნება $\bar{q}_1=26358,50 \pm 1,44\%$.

მეორე ჯგუფისთვის საშუალო არითმეტიკული სიდიდის გაზომვის ზღვრული ცდომილება ტოლია $\Delta_2=2,78 \cdot 81,87=227,60$ ჯ/გ, თბოუნარიანობის ცვლილების ინტერვალია $26318,90 \div 26774,10$ ჯ/გ. მეორე ჯგუფისთვის

საბოლოო შედეგი ზღვრული ცდომილების მიხედვით ტოლი იქნება $\bar{q}_2 = 26546,50 \pm 0,86\%$.

პირველი და მეორე ჯგუფის მონაცემების მიხედვით თბოუნარიანობის საშუალო შეწონილი მნიშვნელობა ტოლი იქნება [5]

$$q_{\text{ა}} = \frac{n_1}{n} \cdot \bar{q}_1 + \frac{n_2}{n} \cdot \bar{q}_2 = \frac{7}{12} \cdot 26358,54 + \frac{5}{12} \cdot 26546,48 = 26436,85 \text{ ჯ/გ.}$$

მოცემულ ფორმულაში n_1 და n_2 პირველ და მეორე ჯგუფებში გაზომვების რაოდენობაა შესაბამისად, ხოლო n , გაზომვების საერთო რაოდენობა.

პირველი და მეორე ჯგუფის დისპერსიების დასაშვებ ზღვრებში არსებობა შემოწმდა ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით. პირველი და მეორე ჯგუფების დისპერსიების ფარდობა ტოლია $\frac{S_1^2}{S_2^2} = 5$. პირველი ჯგუფის

მოცემული თავისუფლების ხარისხის ($k_1=6$), მეორე ჯგუფის მოცემული თავისუფლების ხარისხის ($k_2=4$) და $\alpha=0,95$ სარწმუნო ალბათობის პირობებში ფიშერის კრიტერიუმის ზედა ზღვარი ტოლია $F_{\alpha}=9,2$. ფიშერის კრიტერიუმის ქვედა ზღვარისთვის მივიღებთ: $F_{\beta}=1/9,2=0,109$. პირველი და მეორე განსხვავებული დისპერსიები დასაშვებად ჩაითვლება, თუ სრულდება პირობა:

$$P\left(F_{\beta} < \frac{S_1^2}{S_2^2} < F_{\alpha}\right) = \alpha.$$

კონკრეტულ შემთხვევაში $0,109 < 5 < 9,2$. ანუ, პირველი და მეორე ჯგუფების მონაცემების გაბნევა დასაშვებ ზღვრებშია [5].

პირველი და მეორე ჯგუფების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობების მონაცემების გაბნევა ტოლია [5]:

$$t = |\bar{q}_1 - \bar{q}_2| \cdot \sqrt{\frac{n_1 \cdot n_2 \cdot (n_1 + n_2 - 2)}{(n_1 - n_2) \cdot (n_1 \cdot S_1^2 + n_2 \cdot S_2^2)}} = 0,877.$$

$\alpha = 0,95$ სარწმუნო ალბათობისა და $k = n_1 + n_2 - 10$ თავისუფლების ხარისხისთვის სტიუდენტის კოეფიციენტის მნიშვნელობა ტოლია 2,23.

ვინაიდან $0,877 < 2,23$, ამიტომ ამ ჯგუფების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობების გაზნევა დასაშვებ ზღვრებშია. ამრიგად, ორივე ჯგუფის მონაცემები თანაბრად გაზნეულია და ამიტომ საშუალო არითმეტიკული სიდიდის სტანდარტული გადახრისთვის მივიღებთ:

$$S = \sqrt{\frac{1}{N(m-1)} \cdot \sum_{i=1}^2 n_j (\bar{q}_j - q_{\text{წ}})^2} =$$

$$= \sqrt{\frac{1}{12(2-1)} \cdot [7 \cdot (26358,54 - 26436,85)^2 + 5 \cdot (26546,48 - 26436,85)^2]} = 92,66 \text{ ჯ/გ.}$$

აქედან გამომდინარე, სანიმუშო ნივთიერების თბოუნარიანობის საშუალო არითმეტიკული სიდიდის ზღვრული ცდომილება და თბოუნარიანობის ცვლილების ინტერვალი შესაბამისად იქნება $\Delta q = 2,23 \cdot (\pm 92,66) = \pm 206,62$ ჯ/გ და $26230,20 \div 26643,50$ ჯ/გ.

მაშასადამე, ძირითადი ნივთიერების მიხედვით 99,24% სისუფთავის ბენზოინის მჟავას ბაზაზე შექმნილი სანიმუშო ნივთიერება „სტუ-1“-ის თბოუნარიანობის მნიშვნელობაა $(26436,8 \pm 206,6)$ ჯ/გ. ანუ სანიმუშო ნივთიერების თბოუნარიანობის განსაზღვრის ცდომილება შეადგენს 0,78% - ს.

მოცემული სანიმუშო ნივთიერების საატესტაციო გაზომვების სიზუსტისა და ამ ნივთიერებით XRY-1C კალორიმეტრის კალიბრების სიზუსტის გათვალისწინებით საკვლევი ნივთიერების თბოუნარიანობის გაზომვის ექსპერიმენტული ცდომილების მნიშვნელობა 1,2%-ის ტოლია.

4.3. სათბობის ტენიანობის განსაზღვრა

ტენიანობა სათბობის მნიშვნელოვანი ტექნიკური მახასიათებელია. იგი განსაზღვრავს სათბობის ხარისხს და ახდენს მისი სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობის რეგლამენტირებას. ტენიანობა იცვლება სათბობის მოპოვების, გადამუშავების და შენახვის დროს და მნიშვნელოვან წილადაა დამოკიდებული ნიმუშის შერჩევის და

ანალიზისთვის მომზადების მეთოდზე. სხვადასხვა სათბობის მუშა ტენიანობა მერყეობს რამდენიმე პროცენტთან 60-ზე მეტ პროცენტამდე.

მაღალი ტენიანობა იწვევს სათბობის დაწვის სითბოს შემცირებას და მისი ხარჯის გაზრდას, წვის აირადი ნაწილის მოცულობის გადიდებას და, აქედან გამომდინარე, წარმავალი აირებით სითბოს დანაკარგის გაზრდას, აძლიერებს ხურების ზედაპირების კოროზიას, აუარესებს ფხვიერებას, ზამთრის პერიოდში წარმოადგენს ქვანახშირების შეყინვის მიზეზს. მაღალტენიანი სათბობის დაწვისას წყლის აორთქლებაზე და წარმოქმნილი ორთქლის გახურებაზე დახარჯული სითბოს გამო მნიშვნელოვნად მცირდება წვის ტემპერატურა. ქვანახშირის ტენიანობა მკაცრად რეგლამენტირებულია მისი კოქსირებისას [38,39].

სათბობის ტენი იყოფა ორ ნაწილად - გარეგანი და შინაგანი.

სათბობის მოპოვების, გადაზიდვის და შენახვის დროს მასში მოხვედრილი გრუნტის წყლებისა და ატმოსფერული ნალექების გარკვეული რაოდენობა მექანიკურად შეკავდება სათბობის ნამსხვრევების გარე ზედაპირზე. სწორედ ეს არის გარეგანი ტენიანობა. მექანიკურად შეკავებული გარეგანი ტენის რაოდენობა დამოკიდებულია სათბობის ფრაქციულ შემადგენლობაზე - მისი რაოდენობა იზრდება სათბობის ნამსხვრევების ზომების შემცირებით. გარეგანს განეკუთვნება აგრეთვე კაპილარული ტენი, ანუ ტენი, რომელიც ავსებს სათბობის კაპილარებსა და ფორებს, რომელთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდია ტორფსა და მურა ნახშირში.

შინაგანს მიეკუთვნება კოლოიდური და ჰიდრატული ტენი.

კოლოიდური ტენი წარმოადგენს სათბობის შემადგენელ ნაწილს. მისი რაოდენობა დამოკიდებულია სათბობის ქიმიურ ბუნებაზე, მის შენადგენლობაზე და ატმოსფერული ჰაერის ტენშემცველობაზე. კოლოიდური ტენის დიდ რაოდენობას შეიცავს ტორფი, მნიშვნელოვნად ნაკლებია იგი მურა ნახშირებში და ძალზე ცოტა ქვანახშირებსა და ანთრაციტში.

